ISSN 0130-1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

მაისი
№ 5 1981 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი პირველი მაისის სახელობის № 7 სამკერვალო ფაბრიკა. № 6 ახალგაზრდული საამქროს მუშათა ჯგუფი: (მარცხნიდან) მარინე მესხი, ნორა გუგუტიშვილი, ცაგო არევაძე (საამქროს უფროსი), მარინე ნემსაძე და ნინო გუთხუზი.

თარხან არჩვაძის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 23 მაისი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე** მიესალმებიან საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის მონაწილეებს.

# საქართველოს გაზაფხული

**ზურაბ პატარიძე,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ხალხთა და სახელმწიფოთა ისტორიას დრო წერს, მაგრამ მას თვით ხალხები ქმნიან. დიდი ოქტომბრის ნათელი გზა, ნამდვილი დემოკრატიის, ინტერნაციონალიზმისა და ძმობის გზა, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზა აირჩია ქართველმა ხალხმა სამოცი წლის წინათ. დღეს საბჭოეთის მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების .ერთიან ოჯახში ლენინის პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით გულდაჯერებით მიდის იგი ამ გზით.

ძალ-ღონითა და ენერგიით აღსავსე ეგებება საბჭოთა საქართველო თავის იუბილეს. ექვს ათწლეულში სამრეწველო წარმოების მოცულობა რესპუბლიკაში 160-ჯერ და მეტად გაიზარდა. მრეწველობის სხვადასხვა დარგის 1400-ზე მეტი საწარმო დღეს უშვებს ხომალდებსა და თვითმფრინავებს, ავტომობილებსა და ჩარხებს, ელმავლებსა და გამომთვლელ მანქანებს, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმსა და ქიმიურ პროდუქციას. მადლიან ქართულ მიწაზე მშრომელებს მოჰყავთ ყურძენი და ჩაი, მარცვლეული და ციტრუსოვანთა კულტურები. ინტენსიურად ვითარდება მეცხოველეობა და მეფრინველეობა.

მეათე ხუთწლედი რესპუბლიკისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი, განსაკუთრებით წარმატებული ეტაპი გახდა. ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა საქართველომ პირველთა შორის უპატაკა სამშობლოს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება. ეს გამარჯვება რესპუბლიკის მშრომელებს გულთბილად და გულითადად მიულოცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ვამაყობთ ყურძნისა და ჩაის რეკორდული მოსავლით, რომელიც 1980 წელს უზრუნველყვეს მიწათმოქმედებმა — შესაბამისად 800 და 502 ათასი ტონა; იმით, რომ დავიმორჩილეთ ბობოქარი ენგური, ავაშენეთ იქ ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური.

მეათე ხუთწლედის წლებში რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი თითქმის გაორკეცდა. საქართველოს რუკაზე გაჩნდა ახალი ქალაქები და დაბები, ამოქმედდა ახალი საწარმოები, აღმოჩენილია სასარგებლო წიაღისეულთა ახალი საბადოები. თანამიმდევრულად ხორციელდება საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების კურსი. შრომის ნაყოფიერება ეკონომიკის დარგების მიხედვით 41 პროცენტით გაიზარდა, რის შედეგადაც მიღებულია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული შემოსავლის მატების ცხრა მეათედზე მეტი.

საბჭოთა საქართველოს ყველა ეს მიღწევა ვ. ი. ლენინის ანდერძის განხორციელების, მის მიერ შექმნილი პარტიის გარდამქმნელი საქმიანობის, ერთიანი მიზნებითა და მოქმედებით შედუღაბებული ჩვენი ქვეყნის ხალხთა თანამეგობრობის შედეგია.

ავიღოთ მაგალითისათვის ენგურის ჰიდროელექტროსადგური. ჩვენი ქვეყნის 30-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი, 120 საწარმო მონაწილეობდა ენერგეტიკული გიგანტის მშენებლობაში. ამიტომაც მშენებლობას სამართლიანად უწოდებენ მეგობრობისა და ძმობის მშენებლობას. ენგურის ჰიდროელექტროსადგური სოციალისტურ ერთა ერთიანობის დიდებული სიმბოლოა.

ასეთი მაგალითი ბევრია. რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკები საქართველოში გზავნიან შავ და ფერად ლითონებს, სხვადასხვა მოწყობილობას, მინერალურ სასუქებს, საფეიქრო ნაწარმს, ხე-ტყეს, შაქარს, მარცვლეულს, ბამბას. თავის მხრივ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეს საქართველო აწვდის ლითონსაჭრელ ჩარხებს, მანქანებს, მანგანუმს, ფეროშენადნობებს, ჩაის, ციტრუსებს, ხილს, ღვინოს, კონსერვებსა და სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვა პროდუქციას. რესპუბლიკის მშრომელები წლითიწლობით ზრდიან თავიანთ წვლილს საბჭოთა კავშირის საერთო ექსპორტშიც.

გზა დღევანდელობამდე ხანგრძლივი და და ძნელი იყო. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატმა, რომლითაც საქართველომ თავი შეაფარა მძლავრ რუსეთს, დასაბამი მისცა მრავალტანჯული მხარის აღორძინებას. დაისახა იმის შესაძლებლობანი, რომ ჩვენი ხალხი ზიარებოდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ აზრს, ნაყოფიერი კულტურული ურთიერთობა დაემყარებინა მასთან. ყოველივე ეს, როგორც ქართული ლიტერატურის კლასიკოსი აკაკი წერეთელი წერდა, არა მარტო ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო იდეალების განხორციელების წინამორბედია. თვითმპყრობელობის ჩაგვრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა მოძმე ხალხთა კავშირი.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დახმარებით წლითიწლობით მტკიცდებოდა საბჭოთა საქართველო. მისი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაში მძლავრი თვისებრივი ნახტომი უზრუნველყოფილი იყო იმის მეოხებით, რომ დამკვიდრდა მუშაობის ლენინური სტილი და მეთოდები პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტაში რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას მუდამ ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა და უწევს სკკპ ცენტრალური კომიტეტი. საქართველოს კომუნისტთა, ყველა შრომითი კოლექტივის მუშაობას საფუძვლად დაედო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საქმიანობის შესახებ და სხვა გადაწყვეტილებანი.

ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა ძირეული გარდაქმნები ცხოვრების როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროში. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე უკანასკნელი ათი წლის მანძილზე 34 პროცენტით გადიდდა. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი მარტო მეათე ხუთწლედში 17 პროცენტით გადიდდა, სოფლის მშრომელებისა — 29 პროცენტით.

ნამდვილ აყვავებას მიაღწია მეცნიერებამ და კულტურამ, 25 ათასზე მეტი მეცნიერ-მუშაკი ეწევა კვლევას თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითადი მიმართულებით.

საბჭოთა ადამიანის — ახალი ცხოვრების შემოქმედის ჩამოყალიბებამ, რომელმაც ხორცი შეასხა დიდი ოქტომბრის იდეალებს, განსაზღვრა ქართული მხატვრული კულტურის — შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული, სულისკვეთებით ინტერნაციონალური კულტურის აღმავლობა.

სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ აყვავებას მიაღწიეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ერებმა და ეროვნებებმა. ყოველმხრივ ვითარდებიან საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომლებსაც საქართველოს კომპარტია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური კურსით რომ ხელმძღვანელობს, შეუნელებელ ყურადღებას უთმობს.

„გზა, რომელსაც საქართველო ადგა და ადგას, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეს არის მთელი ჩვენი ხალხის დიადი თანამეგობრობის გზა". მაღალი ჯილდოებით აღინიშნა რესპუბლიკის წვლილი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში: იგი დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკა ზედიზედ მერვედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. მაღალი შეფასება დაიმსახურა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის საქმიანობამ სკკპ 26-ე ყრილობაზე.

დამკვრელური შრომის რიტმით, შემოქმედებითი ძიების სულისკვეთებით აღინიშნა მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგი. რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური მშენებლობის პროგრამის ხორცშესხმაში.

დღეს, რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის სახელოვანი 60 წლისთავის დღესასწაულის წინ, განსაკუთრებით ნათლად მოჩანს ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის, დიდი ოქტომბრის იდეების განხორციელების, სსრ კავშირის ყველა ხალხის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შედეგები. ეს გვმატებს ახალ ძალებს, ხვალინდელი დღის, მომავალ გამარჯვებათა რწმენას. რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ოთხმოციანი წლები გადააქციონ ახალი შრომითი მიღწევების წლებად, უზრუნველყონ სკკპ 26-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა, კომუნისტური აღმშენებლობის დიდებული პროგრამის უთუო შესრულება.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (533). მაისი, 1981

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1981 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო ღურმიშიძე, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.



# საქართველოს გაზაფხული


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი ქართველი მეგობარი მყავს. ვმეგობრობ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, რასაკვირველია, უფრო ჩემს თანამოკალმეებთან — ქართველ მწერლებთან. მე ყოველთვის მახარებდა ქართველი ხალხის კეთილდღეობა, გულითადობა, ერთგულება, მათი უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, შრომისადმი.

მეამაყება, რომ ჩემი წინაპრები — მირზა ფატალი ახუნდოვი, უზეირ ჰაჯიბეკოვი, ნარიმან ნარიმანოვი და სხვები ჯერ კიდევ რევოლუციამდე იზრდებოდნენ თბილისში, ბევრმა განათლება გორის სემინარიაში მიიღო.

ქართველი ხალხის სიყვარულმა და მასთან სიახლოვემ დამაწერინა რომანი „ფარვანა“, რომელიც ქართულად ითარგმნა.

ვულოცავ ქართველ ხალხს, ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი კომპარტიის შექმნის მესამოცე წლისთავს. ვუსურვებ თითოეულ კომუნისტს ახალ წარმატებებს შრომაში, სიკეთესა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

**მირზა იბრაგიმოვი,**
აზერბაიჯანის სახალხო მწერალი,
სოციალისტური შრომის გმირი.



ხშირად ამბობენ: დრო მიდის! მაგრამ რა არის დრო? ეს ხომ ჩვენი სიცოცხლის წლებია. ყოველი ახალი წელი ნამდვილად ახალი იქნება შენთვის, თუ წლის განმავლობაში შეჰქმენი რაიმე — დაწერე წიგნი, აღმოაჩინე ახალი, ააშენე სახლი... ეს ყველაფერი ხომ რჩება, არსად მიდის და როცა უყურებ შენს მიერ აგებულ სახლს, კითხულობ შენს მიერ დაწერილ წიგნს, ისმენ შენს სიმღერას, გრძნობ, რომ უკვდავი ხარ!

უკვდავია ქართველი ხალხი თავისი გმირული საქმეებით.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს კომპარტიას არასოდეს მიუღია ისეთი მაღალი შეფასება, როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე მიიღო.

ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „საქართველოს კომპარტიამ მიაღწია რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვან დაჩქარებას“.

„...საქართველოში საქმე კარგად მიდის“.

ვულოცავ ჩემს ძვირფას ქართველ ხალხს ასეთ მაღალ შეფასებას, ვულოცავ სასიხარულო დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი კომპარტიის შექმნის მესამოცე წლისთავს.

ქართველ მეგობრებს ვუსურვებ ყოფილიყვნენ ისეთები, როგორიც მათი მშვენიერი ქვეყანაა, რომელსაც წლები ემატება, მაგრამ ჯანი და ღონე არ აკლდება, მარად ახალგაზრდაა!

**გევორგ ემინი,**
სომეხი პოეტი,
სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

საბჭოთა საქართველო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძმური ოჯახის ერთ-ერთი წევრი — თავისი მატერიალური და სულიერი ძალების აღმავლობის პირობებში ეგებება არსებობის სამოცი წლისთავს.

ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა ისტორიულ ნიშანსვეტად აღიმართა ქვეყნის განვითარების გზაზე, გამარჯვებებით აღნიშნული მეათე ხუთწლედისა და დიადი პერსპექტივების მქონე მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნაზე.

ქვეყნის წარმატებებში, რომლებიც თვალსაჩინოდ დასურათდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში, ყრილობაზე რომ მოვისმინეთ, თავისი შესამჩნევი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმაც. ამით გამხნევებული და ძალმორეული საქართველოს რესპუბლიკა ახალი ენერგიით შეუდგა ყრილობის გადაწყვეტილებების ხორცშესხმას.

შესანიშნავად აქვს ნათქვამი ამხანაგ ლ. ბრეჟნევს: „საქართველოში საქმე კარგად მიდის და მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირაზმება ახალი წარმატებების მისაღწევად მეთერთმეტე ხუთწლედში“.

ეს სიტყვები ჩვენთვის ძვირფასია და ჟღერს როგორც მომავალ გამარჯვებათა საწინდარი.

ჩვენ — საქართველოს მეცნიერების ასპარეზზე მოღვაწენი — დიდად კმაყოფილნი ვართ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგ ე. შევარდნაძის მიერ ჩვენი შრომის მაღალი შეფასების გამო, მაგრამ დამშვიდებას როდი მივეცემით.

რესპუბლიკას დიდი პროგრამა აქვს შესასრულებელი მეთერთმეტე ხუთწლედში:

სამრეწველო პროდუქციის წარმოების გაზრდა 30-33 პროცენტით,

ჟინვალჰესის ჰიდროკვანძის მშენებლობის დამთავრება,

შავი ზღვის სანაპიროს გასამაგრებელ სამუშაოთა წარმოება,

მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა,

საკურორტო ზონების განვითარება და ბევრი სხვა წარმტაცი ამოცანა, თავისკენ რომ გვიხმობს ყველას — მეცნიერთ, ტექნიკოსებს, მუშებს, ყველა პროფესიის შემოქმედ მშრომელებს!

**ევგენი ხარაძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი.



ძვირფასო მეგობრებო!
მიიღეთ გულითადი მილოცვა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით.
გულწრფელად გვახარებს თქვენი წარმატებები, დიდი მიღწევები შრომაში, ცხოვრებაში, შემოქმედებაში!
კვლავაც ამაყად გევლოთ გამარჯვებათა გზაზე!
ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიხარული თქვენ!
გილოცავთ დღესასწაულს!

**იური ლევიტანი,**
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.



# ჩვენი რაიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნუგზარ ნადარაია,**

საქართველოს კპ ხობის რაიკომის პირველი მდივანი,

სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი.

მეათე ხუთწლედში საბჭოთა საქართველოს მიერ მოპოვებული წარმატებები ჭეშმარიტად საეტაპო გამარჯვებაა.

ძირითადი ფაქტორი, რამაც ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება განაპირობა — კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის შეუნელებელი მზრუნველობა, დახმარება და მხარდაჭერა იყო.

სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებების, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესრულებისათვის ბრძოლამ ჩვენს წინაშე დააყენა მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის, ეფექტიანი მუშაობის, ქმედითი ფორმების და საშუალებების მუდმივი ძიების, პრობლემათა გადაწყვეტისადმი შემოქმედებითად მიდგომის ამოცანა.

ხუთწლედის ყოველ წელს ახალ-ახალ თაოსნობაში ვლინდებოდა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა თავდადება და ენთუზიაზმი.

წარსულს ჩაბარდა ძნელბედობა, ის დრო, როცა გამოჩენილი მწერლის, ლენინური პრემიის ლაურეატის ნოდარ დუმბაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სხვისი ნებით, სხვისი ოფლით, ხშირად სხვისი რწმენითაც კი“ ითბობდნენ ხელს.

ხალხის ისტორია თვალნათლივ ცხადყოფს, რომ ჟამსა გაჭირვებისას, ერს ყოველთვის გამოუჩნდება შემწე — ისეთი ერისკაცი, რომელსაც უნარი შესწევს იტვირთოს ქვეყნის და ხალხის ჭირ-ვარამი.

ისტორიული კანონზომიერება არც ახლა დარღვეულა: ჩვენს რესპუბლიკაში დღეს შექმნილია ყველა პირობა, არსებობს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყდეს არა მარტო მთელი რესპუბლიკის, არამედ ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრობლემები.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ნათლად ადასტურებს, თუნდაც, ხობის რაიონის მშრომელთა მიღწევები.

რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის 1975 წლის აგვისტოს პლენუმზე დაედო სათავე. ამ პლენუმზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ თავის გამოსვლაში ნათლად ჩამოაყალიბა კოლხიდის რეგიონის და მათ შორის ხობის რაიონის დაჩქარებული განვითარების პროგრამა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობამ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ წლებში რამდენჯერმე განიხილეს ხობის რაიონის შემდგომი აღმავლობის აქტუალური საკითხები და მიიღეს ქმედითი ღონისძიებანი.

ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს მინდა რამდენიმე საგულისხმო მაგალითი გავაცნო.

1976 წელს საკუთარი წარმოების საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის გარდამავალი წითელი დროშა დავიმსახურეთ.

1977 წელს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში მოპოვებული მიღწევებით მეორედ გავხდით გარდამავალი წითელი დროშის მფლობელნი.

1978 წელს პრაქტიკულად უზრუნველვყავით გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება და საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა მოვიპოვეთ.

1979 წელს ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება ვიკისრეთ. ტრადიციისათვის არც ამჯერად გვიღალატია: აღებული ვალდებულება პირნათლად შევასრულეთ.

1980 წელს სიმინდის მარცვლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 36.1 ცენტნერი შეადგინა, რაც მეცხრე ხუთწლედის საშუალო შესაბამის მაჩვენებელს 12 ცენტნერით ჭარბობს; ჩაის მოსავლიანობა 29.1 ცენტნერით გადიდდა და 73.1 ცენტნერს მიაღწია; ციტრუსებისა 20.2 ცენტნერით გაიზარდა და 57.2 ცენტნერი შეადგინა; საფურაჟე ძროხის წველადობა 667 ლიტრით გაიზარდა და წლიურად 2.203 ლიტრს გაუთანაბრდა.

1980 წელს ხობელმა მშრომელებმა 1981 წლის ანგარიშში სახელმწიფოს ჩააბარეს 7.000 ტონა სიმინდის მარცვალი, 315 ტონა სილოსი, 10.500 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 45.6 ტონა აბრეშუმის პარკი, 1.200 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, 1.350 ტონა ხილი, 2.730 ტონა ხორცი, 3.211 ტონა რძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას ვუპატაკეთ: ხობის რაიონმა მეათე ხუთწლედი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ვადამდე შეასრულა! სოფლის მეურნეობაში ხუთწლედის მიჯნები ოთხ წელიწადში დაილაშქრა! 1980 წელს მეათე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით 21 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო, ხოლო 16 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია მივეცით ქვეყანას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ქმედითად გვეხმარება არა მარტო სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში, არამედ რაიონის კულტურულ-საყოფაცხოვრებო, ჯანმრთელობისა და სპორტული კომპლექსების მშენებლობაშიც.

სწორედ ამიტომაც არის, რომ რაიონში წარმატებით წყდება სოფლის ახალგაზრდობის ქალაქად მიგრაციის შეჩერების, თავისუფალი დროის შემოქმედებითად, ხალისიანად გამოყენების პრობლემა.

არსებობს ყველა პირობა, რომ რაიონის ცენტრი, ხობი, მეთერთმეტე ხუთწლედში ერთ-ერთ კოხტა და კეთილმოწყობილ ქალაქად გადავაქციოთ.

აქვე მინდა შევეხო ერთ მნიშვნელოვან საკითხს.

ხობის რაიონის მიღწევები დიდად განაპირობა აბაშის რაიონის მშრომელთა გამოცდილების დანერგვამ.

უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევდით, რომ ხობის საწარმოო გაერთიანებაში დამოუკიდებელი ბალანსით შესულიყო რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ჩაის ფაბრიკები, საკონსერვო ქარხანა, სამელიორაციო, „საქსახკომსოფლტექნიკის“, სატრანსპორტო თუ სამშენებლო ორგანიზაციები.

დასახელებული საწარმოების მართვა ამჟამად ხორციელდება მეზობელ რაიონებში შექმნილი დარგობრივი გაერთიანებების მეშვეობით. საწარმოებს სახელმწიფო ბანკში არ გააჩნიათ დამოუკიდებელი ორგანიზაციის ბალანსი და თავისი ანგარიშიც კი. ეს ეწინააღმდეგება სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს და გამორიცხავს მართვის რაიონულ რგოლში სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა კოოპერირების ურთიერთ ხელსაყრელ შესაძლებლობებს.

მეათე ხუთწლედში ხობის რაიონში არსებითად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობები, მაგრამ მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა საქმის მხოლოდ ერთი მხარეა, მუშაობის რადიკალური გარდაქმნა მოგვიხდება წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების, ე. ი. საბოლოო შედეგების არსებითი გაუმჯობესებისათვის. რაიონში მეცხოველეობის პროდუქტიულობის, შრომისნაყოფიერებისა და წარმოების თვითღირებულების დონე ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს დარგის რენტაბელობას.

მთავარი ყურადღება, როგორც მეცხოველეობაში, ასევე მემცენარეობაში, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას უნდა დაეთმოს.

1.000 ჰექტარი მიწის ნაკვეთის გამოყოფის მიუხედავად, რაიონში ჯერ კიდევ დადებითად ვერ გადაწყდა სრულსისტემიანი თევზის სატბორე მეურნეობის შექმნა.

აგროსამრეწველო ინტეგრაციის, სასურსათო პროგრამის და მოსახლეობასთან გაბედული კოოპერაციის ამოცანები მოითხოვენ — რაიონის სოფლის მეურნეობის ბრუნვაში 1981 წლიდან ყოველწლიურად დამატებით ჩაერთოს 2.000 ჰექტრამდე ახლად ათვისებული და რეკონსტრუირებული მიწები; დაჩქარდეს მანქანა-ტრაქტორთა სარემონტო ზონალური სადგურების მშენებლობა; დადებითად გადაწყდეს მარცვლის საშრობი საამქროს დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხი.

მექანიზატორთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა, არსებითად გადაისინჯოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ტრაქტორისტებისა და მეექსკავატორე-მებულდოზერების მომზადების სასწავლო-მეთოდური პროგრამები.

მეთერთმეტე ხუთწლედში კიდევ მთელი რიგი პრობლემატური საკითხების მოგვარება და გადაწყვეტა მოგვიხდება.

ახალ ხუთწლედში ჩვენი რაიონის წინაშე დიდი და რთული ამოცანები დგას. ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა საპატიო მოვალეობად მიგვაჩნია.

ჩვენი მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ღრმა, ყოვლისმომცველი, ნათელი და შთამბეჭდავი მოხსენებით, მზად არიან [illegible] დასაძლევად.

საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავის აღსანიშნავად 1981 [illegible] სახალხო იუბილეს საზეიმო დღეებისათვის შევასრულეთ! ექსპლუატაციაში გადავცემთ რაიონის კულტურის სასახლეს, საცურაო სპორტულ კომპლექსს „იმედს“, კოლხეთის ათვისების ისტორიის მუზეუმის პირველ რიგს, მწყობრში ჩადგება კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, კეთილმოეწყობა მდინარე ხობისწყლის სანაპირო გზა.

ხობის პარტიულმა ორგანიზაციამ სიტყვა მისცა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, რომ ხობის რაიონი კვლავაც მოწინავეთა რიგებში იდგება.

სიტყვას არ გავტეხთ!

# გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

## საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის, ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“ მიენიჭათ:

**ვლადიმერ ალფენიძეს, ოთარ არობელიძეს, ელისაბედ ბრაილოვსკაიას, ბაქრო გაბრუაშვილს, იზაბელა გერმესაშვილს, რუსუდან გრიგოლიას, რემ დავიდოვს, შოთა ებანოიძეს, კონსტანტინე თავაძეს, ოთარ თურქიას, მიხეილ კაკაბაძეს, ოთარ კაპანაძეს, ანატოლი კიკნაძეს, ჰენრიხ კობიძეს, გიორგი მაჭავარიანს, ბორის მილიუტინს, ლიანა მიქაძეს, ედუარდ სიხარულიძეს, კარლო ფალიანს, შოთა ღვინიანიძეს, აკაკი შონიას, ოლღა ჩერქეზიშვილს, ნანული ცაგარეიშვილს, სერგო ხარაზიშვილს, გიორგი ხუციშვილს.**

## საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკები

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“ მიენიჭათ:

**არჩილ გოგოლაშვილს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობს, **გივი ვახტანგაძეს** — გაზეთ „თბილისის“ ფოტოკორესპონდენტს, **იულონ კალაძეს** — გაზეთ „კომუნისტის“ ყოფილ მხატვარს, **დარეჯან რაშოევას** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საამწყობო საამქროს ოსტატს, **გრიგოლ სიხარულიძეს** — ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ პასუხისმგებელ მდივანს, **გრიგოლ ქადაგიძეს** — სასწავლო-საწარმოო გაერთიანება „ფონიჭალის“ ადგილობრივი რადიომაუწყებლობის მთავარ რედაქტორს, **თამარ ჭილაშვილს** — ახალციხის რაიონულ გაზეთ „წითელი დროშის“ განყოფილების გამგეს, **შოთა ჯიჯეიშვილს** — თბილისის წიგნის ფაბრიკის საამკინძაო საამქროს უფროს ოსტატს.

* * *

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით საქართველოს სს რესპუბლიკაში გამომცემლობა „პრავდის“ განყოფილების ინსპექტორსა და გამგეს **სარქის გეგელოვს** მიენიჭა საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.

## საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მხატვარს **ალექსი ბალაბუევს** მიენიჭა საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“.

## დაჯილდოება

მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდნენ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შემდეგი მუშაკები:

**შრომის წითელი დროშის ორდენით**

**გოდერძი სუხიტაშვილი** — საგაზეთო ოფსეტური საამქროს მბეჭდავი.

**ხალხთა მეგობრობის ორდენით**

**ვახტანგ დოხნაძე** — საწარმოო განყოფილების უფროსი.

**II ხარისხის შრომითი დიდების ორდენით**

**სერგო მამალაძე** — საამწყობო საამქროს უფროსი.

**მედლით „შრომითი მამაცობისათვის“**

**ვაჟა რამიშვილი** — მაღალი ბეჭდვის საამქროს უფროსი.

**მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“**

**ჯუმბერ ნადირაძე** — საგაზეთო-ოფსეტური საამქროს მბეჭდავი.

**მარსელ შარიქაძე** — საამკინძაო საამქროს მემანქანე.

## საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭათ საპატიო წოდებანი:

**„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკისა“**

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთო ფორტეპიანოს კათედრის უფროს მასწავლებელს **ლალი საყვარელიძეს**, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტმაისტერო კათედრის უფროს მასწავლებელს — **ლეილა სილიტაშვილს**, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური დისციპლინების კათედრის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს — **ელისო ქუთელიას.**

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეკვიზიტების საამქროს გამგეს — **ეთერ გაწერელიას**, საქართველოს მხატვართა კავშირის შემოქმედებითი სექციების გამგეს — **ლამარა გიორგობიანს**, საქართველოს მხატვართა კავშირის შემოქმედებითი სექციების გამგეს — **ნათელა ლოლუას.**

„დროშის“ კონკურსში გამარჯვებული

# ...და სიკვდილმა უკან დაიხია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიხეილ დავითაშვილი**

ნარკვევი

გამარჯვების ოცდამეთხუთმეტე წლისთავზე სამკუთხა ფრონტულ წერილებს ვათვალიერებდი. ხელში მომხვდა ძველი მეგობრის, ამჟამად გადამდგარი პოლკოვნიკის ნიკოლოზ შავიანიძის ბარათი:

„გაზეთ „კომუნისტის“ 13 დეკემბრის ნომერში ამოვიკითხე შენი გვარი და გამიკვირდა, ენი-კალეს რკალში მძიმედ დაჭრილი, უიმედო მდგომარეობაში მყოფი, როგორ გაუსხლტი სიკვდილს? ბრძოლაში დაჭრილს ვეღარ მოგეშველეთ, უკან დავიხიეთ და შენი კვალი დავკარგეთ. ცოცხლებში აღარ მეგულებოდი...“

ეს გაყვითლებული ბარათი 1944 წელს იყო დაწერილი და ეხებოდა ორმოცდაორი წლის ზაფხულს, ყირიმის მიწაზე, ქერჩის მისადგომებთან სოფელ ენი-კალესთან ცხარე ბრძოლებს.

და აი, ოთხიოდე ათეული წლის შემდეგ წერილის ხელმეორედ წაკითხვამ ფრონტული ცხოვრების ის წუთები დამიყენა თვალწინ, როცა ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე სასწორზე იდო...

სამამულო ომის ეპოპეაში ქერჩის ბრძოლები შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი დრამატიზმით აღსავსე ფურცელი. ერთ მებრძოლზე მტრის ათი და მეტი ჯარისკაცი მოდიოდა, თითქმის ამდენივე ტანკი და ქვემეხი. ისინი, ვინც საკუთარ მხრებზე გადაიტანეს ყველაფერი, ამბობენ: ქერჩის ტრაგედიის თუნდაც ერთი ფრაგმენტი რომ გააცოცხლო სცენაზე, მაყურებლები ვერ გაუძლებენ, დარბაზს დატოვებენო...

რამდენი რამ შეიძლება ამოიკითხო ამ ნათქვამში!

მრისხანე 1942 წლის მაისი იდგა. ფაშისტები გააფთრებით გვიტევდნენ. ჩვენმა 398-ე დივიზიამ უკან დაიხია. ათიოდე კილომეტრის დაშორებით ზღვა ბობოქრობდა, გარემოცვის საშიშროება აშკარა გახდა. მტრის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ დივიზიის გაზეთის „სინ როდინის“ (მე ამ გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი ვიყავი) გამოშვება შეუძლებელი იყო. რედაქციის თანამშრომლებმა საველე სტამბა გაზეთებთან ერთად ტბაში ჩავძირეთ და ჰიტლერელთა შემოტევის მოგერიების მოლოდინში სამხედრო ნაწილებს მივაშურეთ. ჯერ, როგორც რიგითი ჯარისკაცი, ერთ-ერთ ზღუდეს ვიცავდი, შემდეგ 821-ე პოლკის პირველი ბატალიონის კომისრად დამნიშნეს.

16 მაისს მტერმა გააფთრებით შემოგვიტია. ჰაერი დენთისა და სისხლის სუნით იყო გაჟღენთილი.

ფაშისტებმა ჯერ ცენტრში დაგვარტყეს და გაარღვიეს ზღუდე, შემდეგ ტანკების მეშვეობით შეტევა თანდათან გაშალეს და ჩვენს გარემოცვას შეუდგნენ.

ბრძოლა თანდათან მძაფრდებოდა. სამი დღე-ღამის უძინარი, დაღლილ-დაქანცული ჯარისკაცები კვლავ თავგანწირვით იბრძოდნენ. ქერჩის მიწის ყოველი გოჯი ჩვენი მებრძოლების სისხლით გაიჟღინთა, მეომართა რიგები თანდათან შეთხელდა, დადგა ყოფნა-არყოფნის მრისხანე ჟამი, ისეთი მძიმე წუთები, როდესაც ყოველი ადამიანი უნებურად იხსენებს მშობლიურ მხარეს, ახლობლებს, ყველაფერს, რაც კი ძვირფასია მისთვის.

იმ საშინელ ჟამს სწორედ ასეთი წუთები დადგა ჩემთვისაც.

ვარდობისთვე იდგა, ხეთა მფეთქავი კვირტებიდან სიცოცხლე ჩქეფდა, მაგრამ ეს იყო შორს, საქართველოში და არა ენი-კალეს ხრიოკ ბორცვებზე. თვალწინ დამიდგა მეუღლე, რომელსაც ომამდე სულ რამდენიმე დღით ადრე დავუკავშირე ჩემი ცხოვრება, მოხუცი დედა, მრავალრიცხოვანი და-ძმა (მე მეთორმეტე ვიყავი მათ შორის), მშობლიური გაზეთი „ზარია ვოსტოკა“...

ომი რომ დაიწყო, მივლინებაში ვიყავი, დაბრუნებისთანავე სამხედრო კომისარიატში გამოვცხადდი. იმდენად დარწმუნებული ვიყავი ჩვენი ქვეყნის სწრაფ გამარჯვებაში, რომ სამსახურში არც კი შევიარე. ეს, ცოტა არ იყოს, სწყენია კიდეც რედაქტორს ვაჰან გრიგორიანს, საყვედურიც გამოუთქვამს — იქნებ აქაც საჭირო იყოო. რედაქტორის გასაჭირი ჩემთვის გასაგები იყო, რადგან მაშინ ჩემსავით მოიქცა თანამშრომელთა უმრავლესობა. რედაქციაში ერთეულებიღა დარჩნენ; ისიც მოხუცები. „დანაშაული“, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაშინდელი გაზეთის რედაქტორის წინაშე შევეცადე იმით გამომესყიდა, რომ მოქმედი არმიიდან „ზარია ვოსტოკასთვის“ ვგზავნიდი ჩემს ფრონტულ კორესპონდენციებს. ერთხელ უცნაური პაკეტიც კი გამოვგზავნე, მასში იყო რკინის ჯვარი, რომელიც პირადად მე ჩამოვხსენი გერმანელ ოფიცერს. იგი ტყვედ შეიპყრო ჩვენმა ნაწილმა და მისი დატყვევების ჟამს უშუალოდ წინა ხაზზე ვიმყოფებოდი, სამეთაურო პუნქტზე, მორიგი კორესპონდენციის მომზადებაზე ვმუშაობდი. ლეგიონის მეთაურმა მაიორმა ჯანელიძემ, რომელსაც მოსწონდა, რომ ჟურნალისტი მასთან ერთად თვით ბრძოლის ცეცხლში იმყოფებოდა, ფაშისტისათვის ორდენის ჩამოხსნის პატივი მომანიჭა. მეც სიამაყით შევასრულე ეს...

ტყვიები ზუზუნებდნენ. ირგვლივ კვამლსა და სისხლში აზელილი მტვრის კორიანტელი იდგა, მოგონებებში ჩავიძირე.

...თვალწინ დამიდგა ოცდაათიანი წლები, ქუთაისი. რიონჰესის მშენებლობა, შეხვედრები ჩვენი ქვეყნის „სტაროსტასთან“ მიხეილ კალინინთან, გამოჩენილ ენერგეტიკოსებთან ბესარიონ ჭიჭინაძესა და ვლადიმერ ჯიქიასთან. სწორედ აქ, ღია ცის ქვეშ, სადერივაციო არხის გაყვანასა და ელექტროქვესადგურის დამონტაჟებაზე განვიმტკიცე ნებისყოფა. გავიხსენე საერთო საცხოვრებლის „ბარაკებში“ გატარებული დღეებიც.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის წინ, პარტიის ქუთაისის ქალაქკომმა „დაჯავშნული“ სამუშაო შემომთავაზა, მაგრამ გაგონებაც არ მსურდა. ჩემი ოცნება ხომ ჯარში სამსახური იყო! როდესაც პაპანინელები თავიანთი ლეგენდარული ექსპედიციისათვის ემზადებოდნენ, ახალბედა ჯარისკაცს მათთან გამიწია გულმა, მაგრამ ჩემს განცხადებაზე ასეთი პასუხი მივიღე: „ექსპედიციის ყველა წევრი უკვე შერჩეულია, სამწუხაროდ, თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება არ შეგვიძლია“.

...ფრონტზე ჟურნალისტის კალამი იარაღზე ნაკლებ როდი სჭირდებათ მებრძოლებს. ახალგაზრდა ჟურნალისტმა ცხრა თვე მოქმედ არმიაში გავატარე. აქედან ხუთი თვე ფრონტის წინა ხაზზე. ვწერდი სულმოუთქმელად, უბის წიგნაკი ივსებოდა საინტერესო საბრძოლო ეპიზოდებით, ივსებოდა მეომართა გვარებით. ჩემს თვალწინ გაიარა საბჭოთა ჯარისკაცების გმირულმა საბრძოლო ეპიზოდებმა. ერთხელ ასეთი ფანდიც იხმარა მტერმა:

ჩვენი ჯარების განლაგებაში ორმოციოდე მეტრზე უეცრად შემოიჭრნენ გერმანელთა ტანკები, რომელთაც წითელი ქსოვილი ჰქონდათ შემოკრული, ჯავშანზე მყოფ ჯარისკაცებსაც წითელარმიელების ფორმა ეცვათ. ეს იყო წმინდა ფსიქოლოგიური შემოტევა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენს ჯარებში დაბნეულობის შეტანას, მოწინააღმდეგეს მაშინვე მიუხვდნენ... სამეთაურო პუნქტიდან მეც გამოვვარდი და სწრაფად მივიჭერი ჩვენს გვერდით განლაგებულ ზარბაზნის გათვლასთან.

— სასწრაფოდ ცეცხლი! — შევძახე მეთაურს, რომელსაც აშკარად ეტყობოდა დაბნეულობა, — ცეცხლი, ამხანაგო, ფრიცები არიან!

იგი გამოერკვა და ერთი წუთის შემდეგ მტრის ორი ტანკი ცეცხლის ალში გაეხვია...

ადამიანის ცხოვრებაში არის წუთები, რომლებიც მთელ სიცოცხლეს უდრის, იგი, უპირველესად, საკუთარ თავს შეგახსენებს. რატომ გამახსენდა იმ ტრაგიკულ ჟამს ჩემი ცხოვრების ეს დღეები? ნუთუ სიკვდილის მეშინოდა?! არა! მე მაშინ მხოლოდ სიცოცხლეზე ვფიქრობდი. იქნებ იმიტომ, რომ ვამოწმებდი ჩემს თავს განსაცდელის წინ? ალბათ, ასეც იყო... ვერც კი ვგრძნობდი, რომ დადგა წუთები, როცა ადამიანს ძალაუნებურად გაუელვებს გონებაში მთელი თავისი განვლილი ცხოვრება და მოეჩვენება, რომ წარსული მხოლოდ ამ გადამწყვეტი წამისათვის მოსამზადებელი პერიოდი ყოფილა. ეს მოვლენები თითქოს ამოწმებდნენ ჩემს ნებისყოფას, სიმტკიცეს, მზადყოფნას — სამშობლოს წინაშე მომეხადა ჩემი ვალი. ფიქრი, როგორ პარადოქსადაც უნდა მოგვეჩვენოს ამჟამად, გვეხმარება სინამდვილის გარკვევაში, მის სრულყოფილ შეცნობაში, ასეთია ადამიანის ბუნება. ძნელია, ირწმუნო საკუთარი სიმამაცეც კი, თუ ცხოვრებამ საამისოდ არ გამოგცადა. ცხადი გახდა, ყველაფერი, რაც მანამდე გადამხდა, რითაც ვცხოვრობდი, ისინი მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო რომანტიკულად განწყობილი ჭაბუკისა, ახლა კი დადგა დრო, როცა არჩევანის წინაშე ვიდექი, როცა ვაჟკაცურ სიკვდილსა და სამარცხვინო ტყვედ ჩავარდნას შორის მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა.

ფიქრის ძაფი კი არ წყდებოდა.

მთელი სიცხადით წარმომიდგნენ თვალწინ მეგობარი თანაპოლკელები, რომელთა ცხოვრებაც მე ლეგენდად მიმაჩნდა. ამ გადამწყვეტ წუთებში ბორცვებსა და ყორღანებზე შეფენილი თანამებრძოლთა საფლავები გმირობისა და თავდადებისაკენ მომიწოდებდნენ. ცოცხალივით ამომიდგა გვერდით ბატალიონის მეთაური, კაპიტანი, ამბროლაურელი ავქსენტი კობახიძე. იგი, მძიმედ დაჭრილი, სისხლისაგან იცლებოდა, ბრძოლას კი თავს არ ანებებდა, კვლავ წინ მიიწევდა. ჯარისკაცებს ფრთები შეასხა მისმა ვაჟკაცობამ. ავქსენტიმ ბატალიონის კომისრის ლევან გელოვანის მკლავზე დალია სული. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „მართალია, მე ვკვდები, მაგრამ ბრძანება შესრულებულია".

...ან კიდევ უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ჯანაშია. რამდენიმე დღით ადრე, 1 მაისს „ზარია ვოსტოკაში" დაიბეჭდა ჩემი წერილი „ფიცი", მახსენდება სტრიქონები ამ წერილიდან:

„დაჭრილ ჯანაშიას საველე ჰოსპიტალში შევხვდი. პალატაში, სადაც იგი იწვა, მოიტანეს მომცრო წითელი წიგნაკი, რომლის ყდაზე კიაფობდა სიტყვები „სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების)". ჯანაშიამ მოკრძალებით აიღო წიგნაკი, სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ველარ მონახა შესაფერისი სიტყვები, ჩუმად ეამბორა თავის პარტბილეთს.

ეს იყო მეომრის ფიცი. მასში გამოიხატა უდრეკი ნება — უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაეცვა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი".

ნიკოლოზი ფრონტზე საქართველოს სსრ განათლების კომისარიატიდან მოვიდა. შეტევის წინ განცხადება დაწერა — პარტიაში შესვლა ითხოვა. ბრძოლის ველზე მიღებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა.

...სარატოველი სერგეი ვორობიოვი, სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე ჭაბუკი, მუდამ მოუსვენარი, საბრძოლველად შემართული... ერთ-ერთ ხელჩართულ ბრძოლაში მან სამი ფაშისტი შემუსრა, მერე კი მტრის ნაღმმა იმსხვერპლა.

...აი ქართველი ჟურნალისტების უფროსი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელი, გამოცდილი,ნიჭიერი ადამიანი ელიოზ ხუციშვილი. იგი, ჯერ კიდევ 1933-1936 წლებში, ქუთაისის საქალაქო გაზეთ „მუშა და კოლმეურნის" რედაქციის წამყვანი მუშაკი, მეხმარებოდა ჩემი საგაზეთო მუშაობის პირველი ნაბიჯების გადადგმაში. მიუხედავად ასაკისა, ელიოზი ფრონტელი ჟურნალისტი გახდა. მახსოვს, ფრონტზე წასვლის წინ, თბილისში, ლუნაჩარსკის ქუჩაზე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ბოეც რკკას" რედაქციამდე მიმაცილა მან. მაშინ უკვე „საქდესის" თანამშრომელი იყო. განშორების ჟამს მითხრა: „შენ ფრონტზე მიდიხარ, მგონი, ჩემი ადგილიც იქ არის".

შემდეგ ამ ხანშიშესულ — ჭეშმარიტ პატრიოტთან ერთად მომიხდა ყოფნა იმ მოქმედ არმიაში, რომელიც იბრძოდა ჩრდილო კავკასიისა და ქერჩის დასაცავად, მან ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

...გასაოცარი ქალი იყო ოლღა გველესიანი — ხარაგაულელი ქირურგი. ფრონტის წინა ხაზზე, ზეწრის კედლებიან კარავში, ტყვიების წვიმასა და ჭურვების ქუხილში რომ აკეთებდა ოპერაციებს. ერთხელ ამ „საიმედო" საოპერაციო კარვის მახლობლად ყუმბარა აფეთქდა, გველესიანი უმალ მთელი სხეულით გადაეფარა ოფიცერს, რომელსაც ბრძოლაში თერთმეტი ჭრილობა ჰქონდა მიღებული: ის გადაარჩინა, თვითონ კი მძიმედ დაიჭრა.

ჩემს ირგვლივ ბევრი იყო მამაცი მებრძოლი, მისაბაძი ადამიანი და მათზე მრავალჯერ დამიწერია...

ჰიტლერელები კი კვლავ დაჟინებით მოიწევენ. ვხედავ, დაბლა, ბორცვის ძირას საბედისწერო რკალი იკვრება. „დაე, იცოდნენ არამზადებმა, საბჭოთა ჟურნალისტები იარაღითაც იბრძვიან", ჩავიდუდუნე და მაშინვე გადავწყვიტე უკანასკნელი ტყვია ჩემთვის შემომენახა. პისტოლეტი რომ მომემარჯვა, შაშხანა (ფრონტზე მისი ტარება ყველასთვის სავალდებულო იყო ბატალიონის მეთაურისა და კომისრის ჩათვლით) მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადავიტანე, გავხსენი პისტოლეტის კობური და...ამ დროს მტრის ტანკის ზარბაზნის ჭურვმა მძლავრად გაჰკრა ჩემი შაშხანის კონდახს, შიშინით ჩაიქროლა და სადღაც, მოშორებით გასკდა. ჩემივე შაშხანის ძლიერმა დარტყმამ მუხლებში ჩამკეცა, გრძნობა დავკარგე.

გონს რომ მოვედი, ირგვლივ სიწყნარე იდგა. გადარჩენილები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ, რკალის გასასვლელთან. ყველაფერი ცეცხლში იყო გახვეული. კვამლისაგან სუნთქვა შემეკრა, გულშემზარავი სანახავი იყო ბრძოლის ველი. წამოდგომა ვცადე, მაგრამ აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. როგორც შემდეგ ექიმებისაგან გავიგე, ყუმბარას ბარძაყი გადაეტეხა.

უმწეო მდგომარეობაში მყოფ კომისარს ყველაზე მეტად გულს მტკენდა იმაზე ფიქრი, რომ ფრონტი უნდა დამეტოვებინა, რომ მალლობს გერმანელები დაეპატრონებოდნენ და მე კი მათ ხელში აღმოვჩნდებოდი.

მანამდე არასოდეს მენახა ჭურვით დახოცილი ამდენი ჯარისკაცი.

ბრძოლის ველზე სიცოცხლე ერთბაშად ჩამქრალიყო, იგი დახოცილთა გვამებით იყო მოფენილი. სუნთქვა შემეკრა. წამოდგომა ვცადე, მაგრამ მარცხენა ფეხი ძარღვებზე დაეკიდა, საშინელმა ტკივილმა გამსჭვალა მთელი სხეული. ჭურვს ჩემთვის მარცხენა ბარძაყი და მარცხენა ხელის მტევანი გადაეტეხა. კოშმარულ ძილში მესმოდა გერმანული ლაპარაკი, რამდენჯერმე მტრის პატრული მომელანდა; ქარს კი შორიდან გერმანელთა შეძახილების ექო მოჰქონდა...

„არ გავახარებ ფაშისტებს. ვერ ჩამიგდებენ ხელში!" — ფიცივით ვიმეორებდი გულში ამ სიტყვებს! საიდანღაც ჩემამდე მოაღწია „მრავალჟამიერის" სიტყვებმა „არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა"...

პისტოლეტი მოვსინჯე, უცებ მომეჩვენა, რომ ვიღაც ცივი, უსიცოცხლო თვალებით უთვალთვალებს ჩემს ყოველ მოძრაობას, ბრძოლის შორეულ გუგუნში ჩაიხშო მისი სატანური ხითხითი. „ფუტკარი მაინც მოფრენილიყო" — ვინატრე. მივხვდი, სიკვდილი მიყურებდა თვალებში.

სიკვდილი აღარ იყო ჩემთვის რაღაც საშინელი და თავზარდამცემი, რადგან იგი აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა, და მაინც სიცოცხლე — ადამიანი ზეიმობდა, ადამიანი, რომელსაც მთელი რიგი უპირატესობანი ჰქონდა — თავგანწირვა, გაბედულება, ვაჟკაცობა და რწმენა. დიახ, კვდებოდნენ ადამიანები, კვდებოდნენ თავისუფლებისათვის და ამას არ ერქვა ამაზრზენი სიტყვა: სიკვდილი. იგი ჩვენს თვალში როგორღაც გაიოლებული და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო. ამიტომაც არ გამკვირვებია, როცა ჩემს გონებაში უეცრად მომწიფდა აზრი და მერე გადაწყვეტილებაც — თავი მომეკლა მანამდე, სანამ მტრის დამცინავი და სასტიკი თვალები მომნახავდა...

სიცოცხლის აზრი თითქოს ვიპოვე. ახლა მთავარი მხოლოდ მოქმედებაღა იყო.

ირგვლივ მიმოვიხედე, მეჩოთირა ადგილი, თავშესაფრის ძებნა დავიწყე. ტანში გამაჟრჟოლა, როცა წარმოვიდგინე, ამ ტრიალ ადგილას როგორ გადამთელავდა ფაშისტი თავისი ბინძური ჩექმით, როგორ გამსრესდა ფაშისტური ტანკი ან ფორანი.

# ლირიკა

## გიორგი ბესთაუთი

გიორგი ბესთაუთი, სამხრეთ ოსეთის უნიჭიერესი პოეტი, ადრე წავიდა ჩვენგან, მაგრამ მისი შემოქმედება მშოგელი ხალხის სამუდამო კუთვნილებად იქცა.

ოსმა პოეტმა, რომელმაც საუკეთესოდ იცოდა ქართული ენა, დიდი სიყვარულით, მაღალი ოსტატობით აამღერა თავის მშვენიერ ენაზე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი".

ამჯერად „დროშის" მკითხველს ვთავაზობთ გ. ბესთაუთის ლირიკულ ნაწარმოებს.

### ს ი მ ღ ე რ ა

მე რომ ამ გოგოს ვუყვარდე,
რას ვიზამდი?! — ჰაი, გიდი,
მთელ ქვეყანას მუხლის ჩოქით
ერთ ღამეში დავივლიდი.

ცისარტყელას ჩამოვხსნიდი,
წელზე მოვახვევდი რიდით,
მე რომ ამ გოგოს ვუყვარდე...
ჰაი, გიდი!

აყვავებულ ზეცის ფარჩას
ნაზ საკაბედ მოვუჭრიდი,
მე რომ ამ გოგოს ვუყვარდე,
ჰაი, გიდი!...

წვიმას დავითათბირებდი,
წვიმით ეზოს დავუგვიდი,
ოღონდ ამ გოგოს ვუყვარდე,
თავს გავწირავ, ჰაი, გიდი!..

ისეთ ლექსებს დავუწერდი,
ზეცის ტატნობს ჩამოვხრიდი,
მიწაზე არ ვატარებდი,
ზღვაზე გავიყვანდი ხიდით...

სანამ მზის ქვეშ იგოგებდა
თმებზე ოქროს დავაცრიდი,
მოკვდებოდა... ჩემს ლექსებში
ვაცოცხლებდი, ჰაი, გიდი!

თარგმნა ბესიკ ხარანაულმა.

## ქრისტინე ქინქარაული

### მე მაინც ვდაობ საკუთარ თავთან

არ მიყვარს კაცი [illegible] და ფლიდი,
როგორც კაცისმკვლელს თვალებს [illegible],
დამაქვს ამ გულით [illegible]
და მუქა-[illegible]

ვარ მებატონე ალალი გულის,
მასზე ძვირფასი სხვა განძი რა მაქვს!
დავდივარ მთებში უტყვი და მშვიდი
და გულით დიდი ოცნება დამაქვს.

ვდაობ, ვაითუ ვერ აღვასრულე
ყოველდღიური ვალი და ფიცი,
ვაითუ სითბო დავაკელ გულებს
და ფიქრში ჩუმად ნაკვერჩხლად ვიწვი.

სიცოცხლე მხოლოდ მისთვის მახარებს,
შენ შემოგწირო, ულრუბლო ცაო,
ო, ვიწვი შენთვის, მაგრამ ყოველდღე
საკუთარ თავთან მე მაინც ვდაობ!

ამის გაფიქრებაზე თვალები დავხუჭე, დრო არ ითმენდა, საკუთარი გონება მთავაზობდა შედეგის სხვადასხვა ვარიანტს. არა, არა, ისევ სჯობს სიკვდილი საკუთარი ხელით. ეს უფრო ვაჟკაცურია, ვიდრე ტყვეთა ბანაკში ცოცხალ-მკვდარი ყოფნა. ან ვინ გაცოცხლებს. ტყვიას დაგახლიან და სიამოვნებასაც იგრძნობენ, კომისარი გამოვასალმეთ სიცოცხლესო...

მძიმე ტკივილებისაგან ამღვრეულმა თვალებმა მაინც გაარჩია ოდნავ მოშორებით ნაყარი ქვებისაგან შეკოწიწებული სადგომი. რა კარგი იქნება, იქამდე რომ მივაღწევდე! ქვებისა და კლდეთა სამეფოში ეს სადგომი ადამიანს თვალში არ ეცემა. მზისაგან თავშესაფარად თუ მოამზადა მწყემსმა ან რომელიმე ჯარისკაცმა. ცოცვით ძლივს მივაღწიე იქამდე, გულაღმა დავწექი და გავირინდე ამ მზამზარეულ „აკლდამაში".

გადატეხილმა ბარძაყმა ისევ შემახსენა თავი, ისევ შემზარავი ტკივილი... ღრმად ჩავისუნთქე, „აკლდამის" ნაჩვრეტებში ცის პატარა ნაგლეჯს დავუწყე თვალიერება. თითქოს მსიამოვნებდა კიდეც ტკივილი, რადგან ეს იყო ზეიმი ჩემი არსებისა, ჩემი სიცოცხლისა და ამ სიცოცხლეს სხეულის ყოველი უჯრედი დღესასწაულივით განიცდიდა. მერე ის იყო ფუტკრების მთელმა გუნდმა ჩამომიფრინა. მათი სუსტი ფრთებისაგან შერხეულმა ჰაერმა თრთოლვით გადამიარა სახეზე. თითქოს ჩიტის საამური გალობაც მომესმა საიდანღაც. ეს უკვე მეტისმეტი იყო. შევკრთი, გამოვფხიზლდი, გამელიმა ერთბაშად: „ისღა მაკლია, გონება დავკარგო, ამ ძაღლებმა ჩამიგდონ ხელში". პისტოლეტი მკერდზე მივიდე...

„მაგრამ ხომ შეიძლება გულში ვერ მოიხვედრო და დაჭრილი მტრის ხელში აღმოჩნდე, არ შეიძლება ვითომ?" — ნიშნის მოგებით ჩამძახა შინაგანმა ხმამ... „ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა და ურყევი", არ დამიყოვნებია პასუხი. მერე ფიქრი განვაგრძე: „უმჯობესია, საფეთქელში დავიხალო ტყვია. აი ასე, ლოყის ცოტა მაღლა"...

რამდენჯერ მიფიქრია სიჭაბუკეში, რომ თავის მოკვლა სისულელეა, რამდენჯერ დამიგმია ლიტერატურული გმირები, რომლებიც განსაცდელის ჟამს სენტიმენტალური გრძნობებისაგან გონებადაკარგულნი სასიკვდილოდ იმეტებდნენ თავს. მაშინ არ ვიცოდი, რომ ზოგჯერ სიკვდილის არჩევანი სწორია... აქ კი საქმე სახელოვან სიკვდილს ეხებოდა. უცებ გამახსენდა, რომ თუ ჩემი გასროლა ერთ ქვას მაინც გამოაცლიდა ნაყარი ქვებისაგან შეკოწიწებულ სარკმელს, იგი თავზე წამომემხობოდა და სამუდამოდ დავიმარხებოდი ღორღის გროვაში ისე, რომ ძმათა სასაფლაო არ მეღირსებოდა. მე კი მსურდა, მაშინ მაინც, როცა ჩვენები მტერს გარეკავდნენ, თანაპოლკელებს ეპოვნათ ჩემი გვამი და საქართველოში მახლობლებისათვის ეცნობებინათ ჩემი ამბავი...

ვამჯობინე მაინც გულში მეკრა ტყვია. კვალის დატოვებისათვის ეს უფრო საიმედოდ მივიჩნიე — ამ შემთხვევაში „აკლდამა" არ დაინგრეოდა. ახლა ახალმა აზრმა გამიელვა თავში — ვაითუ პისტოლეტმა მიმტყუნოს-მეთქი და ჰაერში, „აკლდამის" შესასვლელში, გასროლა დავაპირე, თავი წამოვწიე და ხელი წინ გავიშვირე, რათა სწორედ გამემართა იარაღი.

ის-ის იყო სასხლეტისათვის ხელი უნდა გამომეკრა, რომ უცებ შორს, ქვემოდან, მძლავრი „ურა!" მომწვდა. მეგონა, მომეჩვენა და უფრო დავძაბე სმენა, ნათლად გავარჩიე ჩვენი ჯარისკაცების ომახიანი „ურა!" ჯარისკაცებისა, რომელთაც უთუოდ გაარღვიეს რკალი და ახლა ზემოთ მორბოდნენ.

გონებაში იმედის სხივი აკიაფდა. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაზე თავი შევიკავე, — ვნახოთ როგორ წარიმართება ვითარება. „შესაძლოა, ჩემამდე მოაღწიონ, თუ არა და თავის მოკვლას ყოველთვის მოვასწრებ", — ჩავილაპარაკე ხმადაბლა.

ალერსით გადავუსვი ხელი პისტოლეტს და ლოყაზე სიხარულის ცრემლი ჩამომიგორდა.

მერე ძლივძლივობით, წვალებით გამოვხოხდი „აკლდამიდან", მაგრამ ძალამ ისევ მიმტყუნა... მალე წითელარმიელებმა მოაღწიეს ჩემამდე. ერთ-ერთი მეთაურის ბრძანებით, მოსასხამით გამიყვანეს ბრძოლის ველიდან... არ გასულა ოცი წუთიც, რომ მტერი ისევ კონტრშეტევაზე გადმოვიდა. რკალი კვლავ შეიკრა. ამ რკალიდან ქერჩის სრუტის ნაპირამდე, სადაც თავმოყრილნი იყვნენ დიდ მიწაზე გადასაყვანი მძიმედ დაჭრილები, სამი კილომეტრიღა იყო დარჩენილი.

და სიკვდილის აჩრდილი კვლავ ამედევნა. როცა დაჭრილები ქერჩის სრუტეზე კატარღებით გადაგვყავდით, მტრის ბომბდამშენები გამუდმებით თავს დაგვტრიალებდნენ, გაафთრებით გვიშენდნენ ბომბებს, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, კატარღას ვერ მოახვედრეს. ბომბები ხან აქ, ხან იქ, ჩვენს ცხვირწინ, კატარღის გვერდით ეცემოდა. ჩვენამდე მხოლოდ ატალღებული წყლის შხეფები აღწევდა. როგორც იქნა, უვნებლად მივაღწიეთ დიდ მიწას, გადავრჩით!

ჩვენი კატარღა კვლავ გაემგზავრა ქერჩის ნახევარკუნძულზე დარჩენილი დაჭრილების წამოსაყვანად, მაგრამ... ამჯერად მტრის ბომბმა მას უწია, ალში გახვეული კატარღა ფაფარაყრილ ტალღებში ჩაიძირა. ჩვენ კი გადარჩენილი დაჭრილები ზურგში განლაგებულ ჰოსპიტლებში დაგვანაწილეს...

მოხდა საოცრება, რომელიც მხოლოდ ომშია შესაძლებელი, ისიც ძალიან იშვიათად. ამის შემდეგ ბევრჯერ მიფიქრია იმ დღეზე, იმ სისხლით კალთაშეღებილ მაისის დღეზე, როცა ბეწვზე ეკიდა ჩემი სიცოცხლე: რამ გადამარჩინა მაშინ? ბედნიერმა შემთხვევამ თუ მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილმა, სიკვდილისადმი გულგრილობამ თუ იმან, რომ ჯარისკაცს სამშობლოსადმი თავგანწირვა თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია?

ალბათ, ყველაფერმა ერთად...

და სიკვდილს ხელი მოეცარა, მის მიერ გადაშლილი დავთარი ასო „დ"-ზე, სადაც ჩემი გვარი უნდა შეეტანა, უცაბედად დაიხურა, იგი დახურა სამშობლოსადმი ჩემმა სიყვარულმა.

დიახ, სიკვდილმა ამჯერად უკან დაიხია, თანაც საკმაოდ დიდი ხნით: ეს სტრიქონები ოცდათვრამეტი წლის შემდეგ იწერება...

# მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს

ერთი კვირა დაეთმო ჩვენი დედაქალაქის მთავარი სცენა — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაწილეებს.

მონაწილეთა რიცხვით ამ ოლიმპიადამ ყველა ადრინდელს გადააჭარბა, დასკვნით ტურში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის 60-ზე მეტი ქალაქისა და რაიონის სამხატვრო კოლექტივები — სულ ათი ათასზე მეტი კაცი.

ამჟამინდელმა ოლიმპიადამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მასშტაბურობით, მდიდარი რეპერტუარით, თვითმოქმედი კოლექტივების შემოქმედებითი ზრდით.

ოლიმპიადა ხალხური შემოქმედების ჭეშმარიტ ზეიმად გადაიქცა და მას ყოველდღიურად უამრავი მაყურებელი ესწრებოდა.

ტემპერამენტიან, ცეცხლოვან ცეკვებს ენაცვლებოდა უძველესი მომაჯადოებელი ქართული ხალხური მელოდიები თუ თანამედროვე კომპოზიტორთა სიმღერები, რომლებშიც ხოტბა შეასხეს სამშობლოს, აღმშენებლობით შრომას, ხალხთა მეგობრობას, სიყვარულს...

დათვალიერებამ გამოავლინა ახალი სახელები, ტალანტები და ერთხელ კიდევ ცხადყო ხალხის წიაღიდან მომდინარე ხელოვნების მრავალფეროვნება, მისი უკვდავება.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ჩვენი კულტურის თვალსაჩინო ოსტატები, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ლაურეატთა წოდება მიანიჭა.

**რუსუდან მუხაძე.**



## ხალხური ტალანტები










● აფხაზეთის გაერთიანებული გუნდი.

● სახალხო მთქმელი ზაქრო ფილაური (გარდაბნის რაიონი)

● საგარეჯოელი მომღერლები.

● მომღერალთა გუნდი (გულრიფში).

● მესტვირე დავით სხირტლაძე (ამბროლაური).

თარხან არჩვაძის ფოტო.



# ვახტანგ გორგანელი

ვახტანგ გორგანელს თითქოს გუშინ მივულოცეთ დაბადების 50 წელი. ათი წელიწადი კი გასულა. კაცს რომ ხშირად ხედავ, აგრერიგად ვერ ატყობ სახეცვლილებას. ან რა უნდა შეატყო ხალისიან ადამიანს, რომელიც წელთა მდინარებას არაფრად აგდებს და ჭაბუკური შემართებით ილვწის, კვლავინდებურად წერს ლექსებს, წერს უხვად, ნაყოფიერად — რაოდენობითაც და მხატვრულობითაც. პოეტის სიტყვა ჩვენი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ამბავს დროულად ეხმაურება — ამაშია მისი პოეზიის მოქალაქეობრივი მრწამსი. ათეული წლების განმავლობაში ლიტერატურის მოყვარულთა წრესაც ხელმძღვანელობს, სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეებშიც აქტიურადაა ჩაბმული.

მას სამოცი წელი შეუსრულდა, უმწიკვლოდ და პატიოსან შრომაში გალეული სამოცი წელი. გადახედავ მის მიერ განვლილ წლებს და არ შეიძლება ქვეყნისათვის მთელი შესაძლებლობით მოამაგე ამ კაცს მომავალი არ დაულოცო, მრავალი წლის ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წარმატებები არ უსურვო.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ამ კეთილი სურვილებით მიესალმება და ულოცავს დაბადების სამოც წლისთავს თავის საყვარელ პოეტს ვახტანგ გორგანელს.

## სიხარულის ცრემლი

1.

დაბანაკდა მეფის რაზმი დარიალის კართან,
ჩადგა ქარი და რაშების ავარდნილი ბუქი.
მყინვარებზე დაიბერტყა ალიონის კალთა,
გაიშალა ტყეში ხმლის და მუზარადის შუქი.

მღვრიე თერგი შელმუოდა პირდაღებულ თხემებს,
ალისფერად თენდებოდა აყვავებულ მთაში
და ჯერ კიდევ ხარები და აქლემები სთვლემდნენ,
რომ მოაგდო რუსთაველმა თეთრ კარავთან რაში.

2.

სძინავს თამარს, ბულბულები უმღერიან ნანას,
ხალიჩაზე მთვარის ირგვლივ ვარსკვლავები წვანან.
სძინავს თამარს, ბულბულები უმღერიან ნანას.

ფრთხილად, შოთა რუსთაველო, თამარ მეფეს სძინავს,
ადრე არი, ნუ შეაღებ მყუდროების ბინას.
ფრთხილად, შოთა, გვირგვინოსან თამარ მეფეს სძინავს.

ხუთ წელს ხატა ტარიელი, მისებრ ცრემლი ღვარა,
დიდხანს ნესტან-დარეჯანის სიყვარული მალა,
მაგრამ ახლა აღარ ყოფნის მოთმინება, ძალა.

ხელთ უპყრია დიდი წიგნი, შიგ ზვირთები სჩქეფენ,
უნდა „ვეფხისტყაოსანი“ რომ მიართვას მეფეს.
მეფეს, მტერზე გამარჯვებულს, საქართველოს მეფეს.

— გზა მომეცი, ერისთავო, გზა მომეცი, თორემ,
ამოვარდა ჩემი გული, ანთებული თონე. —
ღელავს შოთა, გუშაგები ისწორებენ თორებს.

ფრთხილად, შოთა, გვირგვინოსან თამარ მეფეს სძინავს.
ადრე არი, ნუ შეაღებ მყუდროების ბინას.
ფრთხილად, შოთა, გვირგვინოსან თამარ მეფეს სძინავს.

3.

მიიწურა ორშაბათი სიმღერით და ლხენით,
თეთრ კარავში იყო წვა და იდუმალი შფოთვა,
მეფე იჯდა ტახტრევანზე და შაქრიან ენით
სიყვარულის უკვდავებას უკითხავდა შოთა.

მზის და მთვარის მბრძანებელი ბრძენს უსმენდა დიდხანს,
გრძნობდა, როგორ მაღლდებოდა საქართველო მთელი,
ბოლოს, როცა დაამთავრა. რუსთაველმა კითხვა,
თამარ მეფის თვალებს მოსწყდა სიხარულის ცრემლი.

## ფერფლი

ო, მე იმ დღიდან პოეზიის მედება ცეცხლი,
როს სტალინგრადის გრიგალებმა მკერდი დასერეს,
მე დაცემული მეომარის თანა მაქვს ფერფლი
და მისი ფერფლი აღარ მასვენებს.
თანა მდევს მუდამ, ალმოდებულ ტრამალებს მიშლის,
ხმალ-ამართული მტერს მიჰკივის ქართული ლექსით.
თანა მდევს მუდამ, მეგობრებო, ცხადად თუ ძილში,
მისი ყუმბარის და სიმღერის ქუხილი მესმის.

როცა კვდებოდა, შემოდგომის ნიავი ქროდა,
უკანასკნელად შეხაროდა ქალაქის ქუჩებს.
როცა კვდებოდა, არნახული ღიმილი ჰქონდა,
მის ფერდაკარგულ მთრთოლვარე ტუჩებს.
როცა კვდებოდა, დადებული ქართული ფიცი
მხოლოდ ღიმილით დამიდასტურა.
ო, მე მას შემდეგ სტალინგრადის ცეცხლივით ვიწვი
და მისი შუქთა გვირგვინი მხურავს.

მინდა სიმღერა ჰგავდეს ღვართქაფს, მოვარდნილს მთიდან,
იდინოს ლექსმა მღელვარებით მტკვრის და არაგვის.
ო, მე მას შემდეგ ქვეყანაზე ვნატრობ და მინდა,
რომ მზის ველებზე სტრიქონების დავდგა კარავი.
რომ ლერწამიდან ამოხეთქილ სიმღერის ხმაში
ფეთქავდეს მისი ფოლადის მაჯა;
რომ ხალხს ვუამბო, როგორ ჰკვეთდა გრიგალებს რაში
და ბოლო როგორ ელებოდა მსოფლიოს ტანჯვას.
ო, მე იმ დღიდან პოეზიის მედება ცეცხლი,
როს სტალინგრადის გრიგალებმა მკერდი დასერეს.
მე დაცემული მეომარის თანა მაქვს ფერფლი
და მისი ფერფლი აღარ მასვენებს.

## ღია წერილი ერთი შვილის დედას

თვალთა ცეცხლი — ვარსკვლავების ბუდე,
წამწამები — გასროლილი ისარი.
წარბის ერთი შერხევაც გზას უბნევს
და მის ჯადოს ვერ გაურბის მისანიც.
ძგერა მკერდის — მოვარდნილი ტალღა,
ტანი — კლდეზე დაკიდული ჩანჩქერი.
სიტყვას დასძრავ — მტკვარს წაიყვანს ალმა,
ჟრჟოლვა უვლის უფსკრულებს რომ ჩასცქერი.
მკლავებს გაშლი — ილეწება დარდი,
ნამდვილდება ზღაპარიც და სიზმარიც.
თუკი სადმე თავს იწონებს ვარდი,
შენი ერთი გამოხედვის ხნის არის.
ეგ სინაზე მოხიბლავდა ნესტანს,
უხილავად რომ ქრება და ინთება,
მაგრამ, რა ვქნა, ერთი შვილის დედას,
რომ გიყურებ გული, გული მიკვდება.
ზღვის სიმშვიდევ და სათავევ ღელვის,
მზედ რომ დაგაქვს ეგ ღიმილი ხალასი,
რად არ გინდა სილამაზე შენი
მრავლდებოდეს დედურ იავნანაში.
ედემ-ბაღი შენს სიმრავლეს ელის,
წამწამთ შუქო, გიშრის დალალ-კავებო.
რაც არ უნდა იყოს მშვენიერი,
აბა, რაა მთვარე უვარსკვლავებოდ?!
ქარი ველზე იის ფარჩებს კეცავს,
მიმოდიან შენი წამწამთ ჩრდილები.
შენთან ერთად ამ მინდვრებს და ზეცას
კიდევ უფრო ეშხს მისცემდნენ შვილები.
შენს სიკეთეს უფრო მეტად ითხოვს
წინაპართა მიწა სისხლით ნამული.
ასე კარგი დედამ გშობა მიტომ,
გამრავლდე და დაამშვენო მამული.
ძველად ერთ შვილს არა შვილი ერქვა,
ახლაც ერთის იმედით ვერ ინათებ
და იცოდე, ერთი შვილის დედა,
რომ ვალში ხარ საქართველოს წინაშე.
ხედავ, ლტოლვას აღარ უჩანს ბოლო,
რაა შვება თუ ბოლმაში ჩარაზავ.
დღეს შვიდი ძმა დაიურვებს მხოლოდ
ამ გაფრენილ არაგვსა და ალაზანს.
მეჩვენება, რეკენ ოქროს ზარებს,
არწივები ჰკრავენ ცაში კამარას.
ედემ-ბაღში შემოდიხარ მთვარე
და მოგყვება ვარსკვლავების ამალა.
რას დუდუნებს ალიონზე მტკვარი,
შიგ რას აქსოვს, ღმერთო, აფრა ეული,
ამიხდინე თუ სიზმარი არის,
ვაშა, თუა სიტყვა საქმედ ქცეული!

გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, ნორა საქანია ტკბილ-მოუბარი ქალია.

ვდგავართ და ვსაუბრობთ.

— მეთერთმეტე ხუთწლედი ეს-ეს არის დაიწყო და თქვენ უკვე მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობთ. ასეა, არა?

ნორა საქანია იღიმება.

— ასეა, მაგრამ...

ფერდობზე შეფენილ პლანტაციაში ჩალისქუდიანი მეჩაიეები ფუსფუსებენ. გაღმა მთებიდან მონაბერი ნიავი რხევა-რხევით აშრიალებს მოხვავებულ დუყებს.

— ასეა, მაგრამ დაზუსტებაა საჭირო.

ჩემი თანამოსაუბრე წამით ყოვნდება და მაშინვე აგრძელებს:

— მე ახლა მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის ანგარიშში ვმუშაობ.

მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის ანგარიშში!

ადვილად იტყვის ენა!

აბა წარმოიდგინეთ, როგორი ძალა და შემართება, ალღო, უნარი, მოწადინება და გამძლეობაა საჭირო, რომ ექვსი წლით წინ წასწიო ჩაის კრეფის მძიმე შრომა?!

ნიავი ისევ აშრიალებს მოხვავებულ დუყებს. ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო, აჰყვნენ. ჩალისქუდიანი კოლმეურნეები ხუთწლედის ახალ მიჯნებს უტევენ.

აფერუმ თქვენ გარჯას, ჩვენო სახელოვანო მეჩაიეებო!

**ანზორ გოგოლაძე.**


ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნორა საქანია





● ნორა საქანია და მისი რგოლის წევრები ჩაის პლანტაციიდან ბრუნდებიან.

● შრომაც კარგი იციან და სიმღერაც.

● დილა ნორა საქანიას კარ-მიდამოში.

ანზორ გოგოლაძისა და ჯავარ ლომაძის ფოტო.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი სოფლის დილა

**კუკური გოგიაშვილი**

იუმორისტული მოთხრობა

მშვენიერი დილა გათენდა ჩემს ლამაზ სოფელში.

ახალ გზაზე სევერიან-ფოსტალიონი გამოჩნდა. მილილინებდა. ჭიშკარს მიადგა თუ არა, შესძახა:

— პარმენ გელეყვა!.. პარმენ გელეყვა!..

ეზოდან ძაღლის ყეფა გაისმა.

— პარმენ, ჰეი, პარმენ! — განაგრძობდა სევერიანი, — პარმენ!.. პაშოლ, ძაღლო!.. ყველა დაყრუვდით, კაცო? თუ არ გინდათ აი წერილი, ქე წევილებ უკან... ირბინეთ მერე ფოსტაში... გე-ლე-ყვაა!

ძაღლი არ ეშვებოდა.

— პაშოლ, ძაღლო, შე პატრონმკვდარო... გელეყვა!

— რა ამბავია?! — გამოჩნდა პარმენი.

— კაი ამბავია... ძაღლი აგიშვიათ და თქვენ დაბმულხართ? ჩამიწყდა ყანყრატო ყვირილით!

— სევერიანი ხარ?

— სევერიანი ვარ, აბა, ამერიკის პრეზიდენტი ხომ არ ვიქნები... არავინ გყავს შინ?

— ჩაში არიან!

— ჭაში რომ ხართ, მაგას ქე ვხედავ... წერილია!

— წერილი? — ჭიშკარი გამოაღო პარმენმა, წერილი გამოართვა და დააცქერდა, — ბიჭოს! — წამოიძახა გახარებულმა, — ჩემი ბიჭისაა... ამასწინათ მოიწერა, შეიძლება ცოლით ჩამოვიდეო!

— ცოლითო? აბა, მაღარიჩი შენზეა!..

— დაგალევინებდი სანთლის არაყს, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგრამ შინ რომ არავინაა!

— რავა, თან წაილეს არაყი? მეჩქარება, მალე გამოვივლი! — უთხრა სევერიანმა და ლილინით გაუდგა გზას.

პარმენი გრძელ სკამზე ჩამოჯდა, წერილი წაიკითხა, ადგა და ამაყად გაიარ-გამოიარა.

ჭიშკარს ალმასხანი მოადგა.

— გამარჯობა, პარმენ!

— ღმერთმა გაგიმარჯოს!

— რას იჭიმები, შე კაცო, როცა გაიჭიმები, ის არ გეყოფა?!

— რაზე მატყობ?

— რა ვიცი, რა! დავიჯერო, ისე დაგაკლდა თვალში, ველარავის ხედავ?

— რატომ მეუბნები მაგას, — შეცბა პარმენი, — მთელ ქვეყანას ვხედავ და რაღა შენ ვერ დაგინახე!

— ფეხით იშვიათად დადიხარ, ძმობას გეფიცები... „მოსკვიჩი“ შეიძინე?

— შენი „ვოლგა“ არ გამკვირვებია და რაღა „მოსკვიჩმა“ გაგაოცა, შენ ხარ ჩემი ბატონი!

— წერილი მიიღე?

— კი. ბიჭისაა. შეიძლება ცოლით ჩამოვიდეო! გადავუხდი ქორწილს. ასეთი უხვი მოსავალი ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს. ქვევრებმა ყურძნით მუცლები გაივსეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ახლა ჩაი, სიმინდი, ციტრუსი, ხილი...

— რა გიჭირს, რა! ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული. მოდის ბიჭი თუ არა, მე შენ გეტყვი, ვერ დახვდები. ურემი ტალახში არ ჩაგეფლოს! ჰეი, პარმენა გელეყვა... რა იყავი და რა ხარ, შენ ხარ ჩემი ბატონი, სახლ-კარი გინდა, ტელევიზორი, ტელეფონი, გაზი, პიანინო... კურკანტელათი ხარ გაზრდილი, კურკანტელათი!..

— შენ ხომ ხაჭაპურებით იწვავდი ყელს და კეცში ნიკოლოზას ლერბივით გართხმული შემწვარი ვარიკებით ილრჩობოდი... ხახვისა და ტარნის თავს შაქარივით წუწნიდი.

— შე კაცო, მე ღამე თბილად მაინც მეძინა.

— რატომ არ დაიძინებდი რა, სახლში შესასვლელ ხის კიბეს თორმეტის ნაცვლად სამი საფეხური ჰქონდა. დღე დააგებდით და ღამე წვავდით, შენ ხარ ჩემი ბატონი, მერე დღისით ცირკის ჯამბაზებივით დადიოდით ზედ.

— შენ, კაცო, ვის გაჭირვებაზე ლაპარაკობ. ფანჯრებში მიდღემჩი მინა არ ჩაგისვამთ, დღისით ბალიშებით და მუთაქებით იყო გამოტენილი, ღამით თავი გედოთ ზედ და პირში ბურტყლი ჩაგდიოდათ...

— ყოველ შემთხვევაში დაკერებული ლამპის შუშა არ გვქონია, შენ ხარ ჩემი ბატონი. ცხრა ადგილას იყო გაზეთის ქაღალდი შრეშით დაწებებული და ოთხჯერ ცეცხლიც გაგიჩნდათ.

— ცეცხლი, თორემ ალი რომ შენკენ გადმოსულიყო, რაიმე დაგეწვებოდა. შენს ცოლს რომ მზითევში ტუჩმოტეხილი ხალამი, როდინი, ქვასანაყი და გიტარა მოყვა, მეტი არაფერი გაგაჩნდათ და რა უნდა დამწვარიყო.

— ჰე, ბიჭი! ამას უყურე, არ მოხსნა გუდას პირი? ქალამნებით რომ დადიოდი, დაგავიწყდა? ის მაინც არ გახსოვს, იპოლიტე სულამანიძის მშიერმა ძაღლმა ცალი ქალამანი რომ მოგტაცა? ხომ დარჩი ყანჩასავით ცალ ფეხზე!

— მე თუ ქალამნებით დავდიოდი, შენ ხომ „აზიაცკები“ გეცვა, არა? შენსავით საბარგო მანქანის საბურავის წულები არ მცმია.

— შენი შვილების ხის ქოშების პრაკაპრუკით ყურები მქონდა გამოჭედილი. ნალდაკრული თოხარიკივით დარბოდნენ; დღეში რომ ერთხელ ჭამდით, დაგავიწყდა?

— ერთხელ ჭამდითო? ვაი, საწყალო ჩემო თავო! ჩიტითავას, ჯიჯილაყას და ჭინჭრის ფხალს რომ ინდაურის ჭუკებივით ყლაპავდით, ის რაღა იყო?!

— შენთვის ჩამოაგდეს ნიკოლოზა ძირს, ახლა რა გაკლია?!

— რა გვაკლია და ერთი კაი დიდი კეტი, შენ ხარ ჩემი ბატონი, დედის რძესავით შეგვერგება... აჰა!

— რა არის ეს?

— მზის სათვალე! ორი წყვილი გამომიგზავნა ბიჭმა. ერთი მე და ერთი შენ... გამომართვი და გაიკეთე...

— ესეც გავიკეთე! მიხდება?

— ხო, ხო, ხო, ნამდვილი სუფსელი ლორდი ხარ!

— პარმენ, გეიხედე, კაცო, ხედავ? გვერდზე მიიხედა ალმასხანმა,

— აქეთ მოდიან!

— აქაურებს არ გვანან... აბა, სათვალე იმათ უკეთიათ, ავტომანქანის ფარების სიმსხოა.

— შეჩერდნენ... პაპიროსი გააბოლეს... ქალი და კაცი უნდა იყოს!



სოხუმი. ექსპერიმენტალური გაზის აპარატურის ქარხანა. მექანიკური საამქრო.

ანზორ გოგოლაძისა და ჯავარ ლომაძის ფოტო.



ქუთაისი



ენგურჰესზე


ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი

# საბჭოთა საქართველოს 60 წელი

გაგრა



ცხინვალი



თარხან არჩვაძისა და გონდო დადვაძის ფოტო.



ბათუმის ნავსადგური



ქ. სოხუმი. სანაპიროზე.

ანზორ გოგოლაძისა და ჯავარ ლომაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაზე ატყობ, შე კაცო, შარვალი ერთსაც აცვია და მეორესაც, პაპიროსს ერთიც აბოლებს და მეორეც. გაიგე ახლა შენ!..

— ტურისტები იქნებიან. ჩემო ალმასხან, ჩვენი შვილები რომ მაგათ უყურებენ, კარგ რამეს ისწავლიან?!

— ჩვენ არ ვიყავით ახალგაზრდები? ასე ქაჯებივით დავდიოდით? წამოდი, კაცო, ჩვენს საქმეს მივხედოთ!

— მივხედოთ, ბატონო!

პარმენი და ალმასხანი თვალს მიეფარნენ თუ არა, ველოსიპედზე შემომჯდარი სევერიანი შემოვიდა და იქვე გაიშხლართა.

— ღმერთმა დასწყევლოს ჩემი პროფესია... პორფილე ბრუციანი „ვოლგას“ დააქროლებს და მე ველოსიპედზე ჯდომა ვერ ვისწავლე!

ამ დროს უცნობები მოვიდნენ და ხის ძირას დადგნენ.

— გამარჯობათ! — მიესალმა შარლოტა.

— ღმერთმა გაგიმარჯოთ!.. ქართველები ხართ?

— სევერიან ბიძია, უუუ!

— ღმერთო ნუ გადამრევ, ვინ ხარ შენ, გოგო თუ ბიჭი? — წამოდგა სევერიანი.

— ვერ მიცანი, სევერიან ბიძია? იცინოდა შარლოტა.

— რავარი საცნობი ხარ ახლა შენ!

— მე შარლოტა ვარ!

— შარლოტა? — სევერიანმა ხელები გაასავსავა, — ვისი გოგო ხარ, მითხარი. ასეთი სახელი ჩვენს სოფელში არავის არ ქვია!

— კანეჩნო, შარლოტა, ყოფილი შორენა!

— ეს ყმაწვილი ვიღაა? ქართული არ იცის?

— არა... იტალიელია!

ერმოკლიტემ სახეში შეაბოლა სევერიანს და ტყვიასავით მიაყარა:

— ტრაზმესიონე ეტერმინატო, სემპრეუ ნობილე ბუონა სირა!

— რაო, რას ამბობს? — ჰკითხა ქალიშვილს სევერიანმა.

— გესალმება!

— აუუ, რამსიგრძე სალამი ცოდნიათ! ბუონა სირა, შენი ჭირიმე, ბუონა სირა!

— იტალიანო ლეჯიადრო, ვიზო, ედიპენსიერო, ტაპეტი ანტიკუარიო კამიჩერია, მარჩილერა ალიმენტარი! — გაუტია ერმოკლიტემ.

— რაო? — ყურები ცქვიტა სევერიანმა.

— ალიმენტს რატომ არ იხდიო!

— ნუ გადამრიეთ. მაგან საიდან იცის ჩემი ამბავი?! — იყვირა სევერიანმა.

ერმოკლიტემ სევერიანის ჩანთას ხელი წაავლო და ჰკითხა:

— კა პილე მაიალე, დი კოკკოდრილე?

— ღორის ტყავისაა ეგ ჩანთა თუ ნიანგისო? — გადაუთარგმნა შარლოტამ.

— რას ამბობს, კაცო, სუფსაში ნიანგს რა უნდა?!.

— ეკალავენტო, მუტა და კჩენტო, ბამბა პენტო, საკრამენტო, რაო, სევერიან?! — შეჰყვირა ერმოკლიტემ და გაიღრიჯა.

— ესენი მაშაყირებენ, თუ რაშია საქმე! საიდან იცის ჩემი სახელი.

— მაინც ვერ იცანი? — გადაიკისკისა შარლოტამ.

— ვერა, ვერა, ნუ შემშალეთ, კაცო! — აყვირდა სევერიანი, — ბიჭო, რაღაც შენი ხმა მეცნობა. ნუ მომკალი, ვინა ხარ? დედა, რას უშვება ქალაქი პატიოსან ხალხს!

— პარმენ გელეყვას იცნობ?

— დედუ, შევიშლები... ერმოკლიტე ხარ, ბიჭო? შენი წერილი წელან მივეცი მამაშენს, ამბობდა, ცოლით ჩამოვაო...

— ჰოდა, სწორად უთქვამს! — დაეთანხმა ერმოკლიტე.

— მერე, სადაა ქალი?! — ჰკითხა სევერიანმა.

— აბა, ეს თხაა?!

— დედუ, გედევირევი, ღმერთმანი!

— ჩვენ ბავშვობიდან გვიყვარდა ერთმანეთი! — თქვა შარლოტამ.

— ჰელოუ, სევერიან, დაკარი ხელი, შე ძველო! — წამოიძახა ერმოკლიტემ და ისე მაგრად დაჰკრა სევერიანს ხელის გულზე, სულ ვაი დედა აძახა.

— არღანზე ცეკვა რომ გიყვარდა, სევერიან ბიძია, აღარ ცეკვავ?

— რას ამბობ, ერმოკლიტე, ვის სცალია საცეკვაოდ.

— შარლოტა, ჩართე მაგნიტოფონი და შენებურად გაუტიე!

შარლოტამ ბრძანება შეასრულა; ჯერ მარტო ცეკვავდა ტვისტს, მერე ერმოკლიტეც ჩაერია, თან სევერიანს მივარდა:

— სევერიან, გაშალე ხელი და ჩაუტვისტე!

— დედუ! — იკივლა სევერიანმა,— ამას რას ხედავს ჩემი თვალები?!

სამივენი თავდავიწყებით ცეკვავდნენ. მოზრდილი ხის უკან ხან პარმენი გამოჩნდებოდა, ხან ალმასხანი. ბოლოს ველარ მოითმინეს და ორთავემ შესძახა:

— ეჰეიიი!

— რა ამბავია, სევერიან?! — ჰკითხა პარმენმა.

— შეიშალე, კაცო? — დაუმატა ალმასხანმა, — ვინაა მაგ ხალხი?!

— გირჩევნია იტალიელად დარჩე! — უჩურჩულა სევერიანმა ერმოკლიტეს.

— არავითარ შემთხვევაში! — სწრაფად მიუგო ერმოკლიტემ.

სევერიანმა ველარ მოითმინა და შესძახა:

— რა მოგივიდათ, თქვე მართლა ბებრებო, შვილებს ველარ ცნობთ?!

— რაო, შვილებსაო? — გაიოცა პარმენმა.

— რას ბედავ, შე უბედურო სევერიან!

— მამა! — წამოიძახა შარლოტამ, უნდოდა ალმასხანსაც გადახვეოდა.

— გადი იქეთ, არ მომეკარო... რას გავხარ, გოგო? შენ ხარ ჩემი ქალიშვილი?!

— გამარჯობა, მამა! — ველარ მოითმინა ერმოკლიტემ, — სახელი გაწყდა ქვეყანაზე, ერმოკლიტე რომ არ დაგერქვათ ჩემთვის?!

— სახელს რა უშავს, სახე რას გიგავს! სადაა ის შორენა, მე რომ რძლად მინდოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი?!.

— ეს უნდა იყოს ჩემი სიძე? — გულზე ხელი დაირტყა ალმასხანმა.

— მამა, — დაიწყო ერმოკლიტემ, — ეს ტანსაცმელი არც ერთი არაა ჩვენი. მახლობელ სოფელში კინოგადაღებაზე ვართ ჩამოსული...

— ჩვენ კინოში ვთამაშობთ! — დაუმატა შარლოტამ.

— არა გჯერათ? — წამოიწია ერმოკლიტე, — მიყურეთ! — თქვა და პარიკი გადაიძრო.

— არც ახლა გჯერათ? — თქვა შარლოტამ და ტანსაცმლის გახდა დაიწყო.

— თუ ამანაც გაიხადა ახლა... დედუ, რას შვები, გოგო?! — შეჰყვირა სევერიანმა.

— ჩვენ იმ ფუქსავატ, უსაქმურ ახალგაზრდებს ვასახიერებთ, რომლებსაც თქვენ კი არა, ჩვენც დავცინით! — განაგრძობდა ერმოკლიტე.

— ერთად მოგვიწია თამაში! — დაუმატა შარლოტამ.

— ალმასხან, მგონი, არ ვყოფილვართ მთლად განწირული, შენ ხარ ჩემი ბატონი! ახლა დავიძრათ... სიმღერა ხომ არ დაგავიწყდა, ერმოკლიტე?!.

— აღარ ვარ, ბატონო, ერმოკლიტე. სტუდენტებმა სახელი შემიცვალეს...

— წამოიწყე, ბიჭო, რამე! — შესძახა შვილს პარმენმა.

— ალმასხან და პარმენ, ნუ დამახრჩვეთ წყურვილით და ნუ მომკალით შიმშილით, მოხადე ჭურს თავი და დამალევინე ადესა!

— მოგიკვდეს ჩემი თავი, სევერიან, წამოიწყე სიმღერა! — გადასძახა ალმასხანმა.

— არავითარ შემთხვევაში, ვიდრე თქვენი შვილები პირობას არ მომცემენ!

— რა პირობას?! — ერთად იკითხეს ალმასხანმა და პარმენმა.

სევერიანი სკამზე შედგა, ახლოს მიიხმო შორენა და ერმოკლიტე და უთხრა:

— რომ დაამთავრებთ უმაღლესს, ხომ ჩამოხვალთ ჩვენს სოფელში სამუშაოდ, ხომ ასახელებთ სოფელს?!

— აუცილებლად! — ერთხმად წამოიძახეს სიძე-პატარძალმა.

— თქვენ გაგახარათ ღმერთმა, შენ ხარ ჩემი ბატონი!

— თქვენი იმედი ყოველთვის გვქონდა, ძმობას გეფიცები! — ლოცავდნენ მშობლები.

— ჩვენ გვიყვარს ჩვენი სოფელი!

— და მისი საყვარელი დილა! — აღარ დააცადა შორენას არჩილმა, იგივე ერმოკლიტემ.

ამ დროს მანქანის საყვირის ხმაც გაისმა.

— აგერ, ხედავთ, კაცო?! — წამოიძახა ალმასხანმა, — მოაყენა ჩემმა ბიჭმა „ჟიგული“!

— „ჟიგულს“ ვითომ „ვოლგა“ არ ჯობს?! — აღარ აცლიდა პარმენი.

— ახლა მაგაზე იჩხუბეთ! ნუ მომკალით, კაცო, დროზე წავიდეთ! — აყვირდა სევერიანი, — როგორც ჩემი ჩანთაა დაცარიელებული, ისეა ჩემი კუჭიც, გამოეტიეთ ახლა!

— აბა, ჩასხედით, ზოგი „ჟიგულში“, ზოგიც — „ვოლგაში“... მოვდივართ, კარი გაგვიღეთ! — გასძახა ალმასხანმა.

— სიღარიბევ, გეტირა ყოფა თუ არა?!. — ალმასხანს ბანი დააწია პარმენმა.

ორი მანქანა სოფლის შუკებში მიქროდა.

ასეთი იყო ჩემი ლამაზი სოფლის დილა.





„დროშის" კონკურსის გამარჯვებული






რაულ ბაბუნაშვილი

წერილი ბამიდან

# მე, ანზორ დვალიშვილი...

„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება"... — მაგონდება გალაკტიონის ეს სიტყვები და ამით ვიწყებ წერილს. შუაღამეა. ქალაქს უკვე დიდი ხანია სძინავს. ორმოცგრადუსიან ყინვას ერთიანად შეუჭირხლავს ჩემი სახლის ფანჯრის მინები. უცნაური სიმშვიდე მეუფლება, როცა ფანჯრის მინებზე ყინვით მოხატულ უცნაურ ფიგურებს ვუყურებ. ფანჯრიდან, როგორც ზღაპრულ სამყაროში, ისე მოჩანს მქრქალად განათებული და თოვლის თეთრ სამოსელში გახვეული ნია-გრუზინსკაია. ჩვენი პატარა ქალაქი ამ დროს საახალწლოდ მორთულ ნაძვის ხეს მაგონებს.

ალბათ გახსოვს, ბიჭვინთაში ერთად რომ ვაშენებდით დასასვენებელ სახლებს. ჩვენი გზები დროებით ამ ექვსიოდე წლის წინათ გაიყარა. შენ რთული კომპლექსის მშენებლობა დაგავალეს, მე კი ბამის მშენებლობამ გამიტაცა. ბედმა მარგუნა, დიდი საქმის ხელმძღვანელი ვყოფილიყავ.

ქართველმა მშენებლებმა ექვსი ზამთარი გავატარეთ ბამზე. მეკვლეთა მძიმე ხვედრი, ქარი და თოში, უძილო ღამეები, ზოგჯერ შიმშილიც — ყველა სიძნელე გამოვცადეთ. ამ ხნის მანძილზე, ავაშენეთ მშვენიერი ქალაქი და თავს ახლა ისე ბედნიერად ვგრძნობ, რომ გამოხატვა არ ძალმიძს.

ახლა ოჯახის თავკაცივით ვზომავ და ვწონი ამ ექვსი წლის ნაშრომ-ნაჯაფარს და ვფიქრობ: გავაკეთეთ კი ისეთი რამ, ჩვენი დიდი შრომის საზღაურად, საუკუნოდ რომ დარჩება ციმბირის მიწაზე?! გავამართლეთ თუ არა ის იმედები, რასაც ჩვენზე ამყარებდნენ? საქართველოს მშრომელები ექვსი წლის მანძილზე პრესის საშუალებით თვალყურს ადევნებდნენ ჩვენს შრომას, გულით ჩვენთან იყვნენ და შევასრულეთ თუ არა მათი წადილი? — აი რა მაწუხებს ახლა და არ შემიძლია, ეს ფიქრები არ გაგიზიარო...

გარეთ ცივა. ქარი არ ქრის, მაგრამ ყინვა, რომ იტყვიან, ძვალ-რბილში ატანს. მთის ფერდობზე შეფენილა ნია-გრუზინსკაია. ქალაქს მაღლიდან თავსამკაულივით შემორტყმია დათოვლილი ტაიგა. ფართო ქუჩები ხეობაში ეშვება. ტერასები შემკულია ზურმუხტისფერი ქვის ფილებით, წითელი და თეთრი აგურით, ნაშალი და რიყის ქვებით. ქალაქის შუაგულში აღმართულა სავაჭრო ცენტრი — სვეტებიანი თაღოვანი შესასვლელით და მაღალი ოვალური ფანჯრებით. იქვე ორსართულიანი სკოლაა.

სულ ქვემოთ ვეებერთელა თბოცენტრია. მისი წითელი აგურით ნაშენი საკვამლე მილი შორიდან მოჩანს. წითელ მილში მთელ სიმაღლეზე თეთრი აგურითაა ჩაშენებული წარწერა „ნია-გრუზინსკაია". მილიდან კვამლი ამოდის და, შენც კარგად უწყი, სადაც კვამლი ამოდის, იქ სიცოცხლე ჩქეფს. გაივლის სულ ცოტა ხანი, მოვლენ რკინიგზელები, მეტყევეები, დიდი სამრეწველო კომპლექსის მშენებლები, დასახლდებიან ჩვენს მიერ აშენებულ ბინებში და დალოცავენ ქართველი კაცის მარჯვენას, მდინარე ნიას ნაპირებთან დასაბამი რომ მისცა ქალაქის სიცოცხლეს.

ყველაფერი მდინარე ლენასთან დაიწყო. ექვსი წლის წინათ, აპრილში, სამოცი ქართველი მივადექით ჯერ კიდევ ყინულებით შებოჭილ ტაიგას. ვიდექით და ვფიქრობდით: გადავიდეთ თუ არა, მდინარის არცთუ ისე საიმედოდ გაყინულ ზედაპირზე ტრაქტორებით და მძიმე ტვირთით? ბოლოს გავბედეთ და გავედით. ეს იყო მომავალი გამარჯვებისათვის ერთი წლით ადრე საიმედო საფუძვლის ჩაყრა. არადა, მოთმინებით უნდა დავლოდებოდით მომავალი წლის ზამთრის დადგომას.

მივდიოდით უსიერ ტაიგაში, თოვლით დათრთვილულ ბუმბერაზ ხეებს შორის, გადავლახეთ მრავალი მთა და ბორცვი. მძიმე იყო ეს ლაშქრობა, ვიდრე ნიას ნაპირებთან ჩავაღწევდით კარავი ბამის ტრასის 102-ე კილომეტრზე დავეცით, იქ, სადაც მონადირის მომცრო ქოხი დაგვხვდა მხოლოდ. ასეთი ქოხები ტაიგაში ყოველ ოცდაათ-ორმოც კილომეტრზეა აშენებული, რომ გზადაბნეულმა მონადირემ თავი შეაფაროს, გათბეს, დანაყრდეს და ძალა მოიკრიფოს. საქართველოდან ჩამოსულებს ამ ქოხში არ გვიძებნია თავშესაფარი. ძალზე პატარა იყო და არ გვინდოდა გამორჩეულად ვინმეს ეცხოვრა შიგ. საველე კარვებში მოვთავსდით.

დავკარით პირველი ბარი. მამაპაპურად დავიწყეთ ნიას დროებითი ქალაქის მშენებლობა. ალბათ იფიქრებ, სად ციმბირი და სად ჩვენი მამა-პაპანიო. მოიცა, ბოლომდე მომისმინე! ასაწყობი ფინური სახლების კონსტრუქციები ვერტმფრენით მოჰქონდათ ჩვენთან. ხან მოიტანდნენ, ხან არა. ქარი თუ ძლიერად დაუბერავდა, მფრინავები სამშენებლო დეტალებს პირდაპირ ტაიგაში ყრიდნენ. ერთი-ორი ავაშენეთ, მაგრამ, სიმართლე გითხრა, მაინცადამაინც არ მოგვეწონა.

როდესაც ქალაქისთვის ადგილი მოვასუფთავეთ, უამრავი ხე-ტყე დაგროვდა დაბაში. სახანძრო ინსპექციამ აგვიკლო:

ეროვნული ბიბლიოთეკა











სანამ ზამთარია დაწვით, თორემ ზაფხულში ხანძრის საშიშროება შეიქმნებაო.

— აფსუსია ამ სანთელივით სწორი და სუფთა ხეების დაწვა, — მეუბნებოდა მთავარი ინჟინერი ნუგზარ მგელაძე, — მაგას არავინ გააკეთებს.

— ჩვენც ავდგეთ და ძელებისაგან ავაშენოთ სახლები, აი ისე, როგორც ჩვენი მამა-პაპანი აშენებდნენ, — ვუთხარი ბიჭებს.

ალექსი კურტანიძემ ბორჯომიდან წამოღებული სახერხი დანადგარი გამართა. სახელდახელოდ შეიქმნა მხერხავთა, ტყის მჭრელთა, მშენებელთა ბრიგადები — ავთანდილ ლომიძის, ვალერი რუხაიას, ნიკოლოზ ოპარინის, ვიქტორ მახარაძის და სხვათა ხელმძღვანელობით. ღუღუნებდა ხერხი, ძელი ძელს ედებოდა და შენდებოდა ქალაქი. ჩვენმა მეგობარმა ბონდო სორდიამ ასე გალექსა ეს ამბავი:

ნიას დედა, ნიას მამა —
არის ჩვენი პილორამა...

სულ მოკლე ხანში გაშალა მხრები დაბამ. მერე მეუღლეებმა ბავშვებთან ერთად ჩამოაკითხეს თავიანთ ქმრებს. ზოგ ულვაშალერიელ ვაჟს საქართველოდან ჩამოუყვიდა საცოლე, ზოგი კიდევ აქ წამოიჩიტა გასათხოვრად. შეიქმნა ოჯახები, მომრავლდნენ ბავშვები, გაიხსნა სკოლა.

ახლა ბარე ოთხასამდე სული ცხოვრობს ჩვენს დასახლებაში და საზრუნავიც ბევრი მაქვს. აქ მე, ანზორ ღვალიშვილი, მარტო სამშენებლო მატარებლის უფროსი როდი ვარ. მე გახლავარ — აღმასკომის თავმჯდომარეც, მილიციის უფროსიც, მომრიგებელ-მოსამართლეც, მმაჩის ბიუროს გამგეც, და რა ვიცი, კიდევ ვინ და რა?! ეს კია, დანაშაული ჩვენთან არ ხდება და, ბუნებრივია, თავისუფალი ვარ ზოგიერთი თანამდებობრივი საქმიანობიდან.

1976 წლის ზაფხულში ტაიგაში დიდი ხანძარი გაჩნდა. იგი ჩვენკენ მოიწევდა და გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდა. სამი დღე და ღამე არ გვეძინა. ვებრძოდით სტიქიურ უბედურებას, რომელსაც ზედ დაბის სიახლოვეს გადავუკეტეთ გზა.

იმ საშინელი ხანძრის უტყუ მოწმეებად ახლაც დგანან ნია-გრუზინსკაიას მახლობლად დანახშირებული ხეები. პოეტი ევგენი ევტუშენკო შეესწრო ჩვენი ბიჭების ცეცხლთან თავგანწირული ბრძოლის სურათს და ხალასი გულით დაწერილი ლექსი მოგვიძღვნა. არ შემიძლია, არ მოვიგონო ამ ლექსის შოთა ნიშნიანიძის მიერ თარგმნილი სტრიქონები:

მე საქართველო ვიხილე ბამზე,
ვნახე და მერე ვეღარ მოვეშვი,
იმ ბიჭებს ხვითქი სდიოდათ ტანზე —
როგორც თბილისის აბანოებში...
...მე მათთან ლხინში ვყოფილვარ ბევრჯერ,
მათი მადლი მდევს მე იმთავითვე,
დათვის ტყავები აცვიათ ბამზე —
„ვეფხისტყაოსნით" გაზრდილ რაინდებს.
სტუმრად ვიყავი ჩემს ქართველ ძმებთან,
როცა ხანძრებმა ტყე გადათელეს,
დამფრთხალი ცეცხლი შიშისგან ყეფდა
და გაურბოდა მამაც ქართველებს...

ამას წინათ მთავარბამშენის უფროსი კ. მოხორტოვი გვეწვია და, როცა ჩვენი ხელით აგებული სახლები ნახა, აღფრთოვანდა:

— ეს რა ქვის წყობის ჯადოქრები ყოფილხართ ქართველებო, — ამბობდა იგი და თვალს ვერ აშორებდა შეუბათქაშებელი თეთრი და წითელი აგურის კომბინაციებით სხვადასხვა ფერად მოკიაფე სახლებს.

— ქვის წყობა თუ იცოდნენ, ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ! ჩვენ რანი ვართ მათთან შედარებით? — თავი მოისაწყლა უბადლო კალატოზმა — რუსთაველმა ვიქტორ მახარაძემ, — გელათი, სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, ოშკი, ხახული... მათი ხუროთმოძღვრების უკვდავ ქმნილებებად შემორჩნენ ჩვენს თანამედროვეობას.

— მინახავს, — გაეღიმა სტუმარს, — აი, თუნდაც ცაში ორბივით აფრენილი ნიკორწმინდა... ვფიქრობ, სახელოვან წინაპრებს სახელოვანი შთამომავლებიც ჰყავთ. თქვენ ხომ თანამედროვეობის ძეგლი შექმენით ნია-გრუზინსკაიას სახით!

ადამიანი მარტო იმისათვის არ ცხოვრობს, რომ იცოცხლოს, — ეს მარტო ჩემი ფილოსოფია როდია. აბა, რას წარმოადგენ, თუ საერთო ფერხულს არ აჰყვები, თუ შენ წვლილს არ შეიტან იმ დიდ მშენებლობაში, რომელსაც ჩვენი ხალხი იმედის თვალით შეჰყურებს? დიახ, უფლება არ გვქონდა, რომ მოწინავეთა რიგებში არ ვყოფილიყავით! დიახ, ვაკეთებდით იმაზე მეტს, რაც გვევალებოდა!

ახლა, როცა პატარა ქალაქს — ნია-გრუზინსკაიას გავცქერი, მიხარია. თუმცა იგი, ერთი შეხედვით, განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს: ჩვენი თბილისის მიკრორაიონის ოდენაა და მეტი არაფერი! მაგრამ თუ გაითვალისწინებ, სად და როგორ აშენდა ნია-გრუზინსკაია, თუ განსაზღვრავ, ყოველი სახლის თითოეულ აგურს რამდენჯერ შეხებია მშენებლის თბილი თითები, თუ იმასაც წარმოიდგენ, ამ ქალაქში დამკვიდრებული ადამიანები რა სასწაულებს მოახდენენ ციმბირის ინდუსტრიალური გარდაქმნის საქმეში, ადვილად დარწმუნდები, — ექვსი წლის მანძილზე ჩვენი შრომა მეტად დაძაბული და ნაყოფიერი იყო!

მთელი ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობის შესახვედრად ემზადებოდა. აბა ჩვენ, ქართველებს, ციმბირში რა მოგვასვენებდა, ავდექით და ერთხმად გადავწყვიტეთ: ბამზე პირველებს ჩაგვებარებინა საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი ქალაქი.

ამ გადაწყვეტილების თაობაზე პარტიის რაიკომის მდივანს ვეწვიე.

— რა მოხდა, ანზორ ვარლამის ძევ, ისევ ხანძარი ხომ არ გაჩნდა თქვენთან? — შემეკითხა მდივანი.

— დიახ, — ღიმილით დავამშვიდე, — ხანძარი გაჩნდა, მაგრამ ამჯერად ცეცხლი ტაიგას არ წაეკიდებაო...

— რა მოხდა? რას აპირებთ?

— გადავწყვიტეთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობის შესახვედრად დავამთავროთ ქალაქის მშენებლობა.

კაბინეტში უჩვეულო სიჩუმე გამეფდა.

— შესძლებთ? — მკითხა მდივანმა.

— შევძლებთ! საერთო კრებაზე ვიმსჯელეთ. ყველა ჩვენგანი კისრულობს, ყოველდღიური გეგმა 150 პროცენტით შეასრულოს. გამოვძებნით ყველა რეზერვს და პირობას უთუოდ გავანაღდებთ.

— ძალზე სერიოზულ ვალდებულებას იღებთ, — თქვა ჩაფიქრებულმა რაიკომის მდივანმა, — მთელ დასავლეთ ბამზე თქვენ გინდათ პირველებმა ჩააბაროთ ქალაქი შემკვეთს: მაგრამ მჯერა თქვენი. არაერთხელ დაგიმტკიცებიათ, რომ საქმე და სიტყვა ერთი გაქვთ!

# ჩვენი ხალხის მეგობრები


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო მწერალი

მთელ საბჭოეთში და მის გარეთაც სიყვარულით, პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით აღინიშნა მწერალ გიორგი მარკოვის დაბადების 70 წლისთავი.

გიორგი მოკეის ძე მარკოვი ცნობილია, როგორც საკავშირო სამწერლო ორგანიზაციის სახელოვანი მეთაური და შესანიშნავი ორგანიზატორი, მოძმე ხალხთა ყველა ლიტერატურის გულითადი მეგობარი;

იგი ცნობილია, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე;

იგი ცნობილია, როგორც ავტორი საყოველთაოდ გახმაურებული, მონუმენტური რომანებისა „სტროგოვები", „მარილი მიწისა", „მამა და შვილი", ჭეშმარიტად საეტაპო ხასიათის დილოგიისა „ციმბირი", რისთვისაც მას დამსახურებულად მიენიჭა ლენინური პრემია.

ამ წიგნების მთავარი თემაა ციმბირი, სადაც დაიბადა მწერალი. იქ, ტაიგის ტყეებში, განვლო მისმა ძნელმა ბავშვობამ და სიჭაბუკემ. იყო მონადირეც და კომკავშირული მუშაკიც. იქვე გახდა გიორგი მარკოვი მწერალი — მეხოტბე მშობლიური მიწისა, მკაცრი და სუსხიანი, მაგრამ მშვენიერი და ბედნიერი მიწისა.

თავისი საიუბილეო წელიწადის მესამე თვეს მწერალმა გამოაქვეყნა ახალი რომანი „მომავალ საუკუნეს" (პირველი ნაწილი). რომანის მთავარი გმირია კომუნისტი, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი — ანტონ სობოლევი. მაღალი ოსტატობით გვიხატავს ავტორი ადამიანთა კეთილდღეობისათვის, მშობლიური მხარის აღორძინებისათვის მებრძოლი ხელმძღვანელის მიმზიდველ სახეს, ხაზს უსვამს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც პარტიულ მოღვაწეს ეკისრება ხალხის, პარტიის, მომავალი საუკუნის წინაშე. მკითხველი, ვინც წიგნის პირველ ნაწილს ჟურნალ „ზნამიას" მესამე ნომერში გაეცნო, დარწმუნებულია, რომ მწერალი წარმატებით დაასრულებს ამ რომანს.

გიორგი მარკოვი ავტორია ბევრი ვრცელი და პატარა მოთხრობის, აგრეთვე მგზნებარე პუბლიცისტური წერილებისა, რომლებშიც იგი მტკიცედ, თანმიმდევრულად იცავს საბჭოთა ლიტერატურის საფუძველთა საფუძველს — პარტიულობის და ხალხურობის, იდეურობისა და კლასობრიობის პრინციპს.

ლიტერატურის ყველა მოღვაწეს, ყველა თაობის წარმომადგენელს გამოადგება ის ბრძნული რჩევა, რასაც გიორგი მარკოვი აძლევს ახალგაზრდა ავტორებს (წერილი „მაღალი ტრადიციებისადმი ერთგულება", ჟურნალი „სმენა", 1981 წლის № 3).

აი ერთი ადგილი წერილიდან:

„ყველაზე მეტად გავრცელებული ნაკლოვანება თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებებისა, რომლებიც ახალგაზრდების, და არამარტო ახალგაზრდების, კალამს ეკუთვნის, გახლავთ ის, რომ ავტორებს არ ძალუძთ გამოავლინონ ყველაზე მთავარი, ყველაზე არსებითი ჩვენს საბჭოთა ცხოვრებაში. ზოგჯერ ასე ხდება: კითხულობ თანამედროვეობაზე დაწერილ ნაწარმოებს, თანამედროვეობა კი მასში არა ჩანს: პატარა ადამიანები, პატარა ვნებები, გამოგონილი, ნაცოდვილარი კონფლიქტები! კითხულობ ამგვარ ნაწარმოებებს და უნებლიედ ფიქრობ: მოიცა, მოიცა, პატივცემულო ავტორო, მაშ ვინღა, რა ძალებმა აღორძინეს ჩვენი სამშობლო, აქციეს განვითარებული სოციალიზმის ქვეყნად, დააყენეს მშვიდობისა და ხალხთა აყვავებისათვის პროგრესული კაცობრიობის ბრძოლის ავანგარდში?"

ამ სიტყვებში გამოთქმულია ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა მწერლის პოზიცია, რომელიც „ლიტერატურული მოდის" ზეგავლენას არ ემორჩილება.

დაბადების 70 წლისთავზე სოციალისტური შრომის გმირი, მწერალი გიორგი მოკეის ძე მარკოვი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა.

ორიოდე სიტყვა გიორგი მარკოვზე, როგორც ადამიანზე. იგი არ იღლება კოლეგებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, არ იღლება მათზე მუდმივი, ყოველდღიური ზრუნვით. ამას გრძნობს ყველა, ვინც ცოტათი მაინც იცნობს მას. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ყველა ხალხისა და ყველა თაობის მწერალთა უანგარო სიყვარულითა და უსაზღვრო ნდობით სარგებლობს.

გაზეთ „იზვესტიის" ა. წ. 19 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა შესანიშნავი რუსი პროზაიკოსის ანატოლ ივანოვის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „რუსეთის რესპუბლიკაში არის საპატიო წოდებანი „სახალხო არტისტი", „სახალხო მხატვარი", მაგრამ, სამწუხაროდ, არ არის წოდება **„სახალხო მწერალი"**. და რომ ყოფილიყო, ეს წოდება დამსახურებულად მიენიჭებოდა გიორგი მარკოვს".

მთელი გულით ვეთანხმებით ამ სიტყვებს.

ჭეშმარიტად სახალხო მწერალს გიორგი მარკოვს სახელოვან იუბილესა და სამშობლოს კიდევ ერთ მაღალ ჯილდოს ულოცავს ქართველი ხალხი, დღეგრძელ სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით ჩანაფიქრთა ბრწყინვალედ განხორციელებას უსურვებს თავის კეთილ მეგობარს!

**ხუტა ბერულავა.**

---

გათენებულა კიდეც ამ ბარათის წერაში. გარეთ 40 გრადუსიანი ყინვაა, მაგრამ ჩვეულებას არავინ ღალატობს. ჩემი ძაღლები — ტაიგა და ცუგო თოვლში ბუქნაობენ. სარხედან პეტია გამობრძანებულა და რუსთაველის ქუჩაზე მიბაკუნებს. პეტია, ასე ვთქვათ, ისტორიული ვაცია — ჩვენი ყველა შრომითი გამარჯვების უტყუარი მოწმე. იგი პატარა იყო, როცა ჩვენთან მოვიყვანეთ, მალე აიყარა ტანი, გაამაყდა და მედიდურად დააბიჯებს ნია-გრუზინსკაიას ქუჩებში.

სამუშაოდ მიეშურებიან მამაცი მშენებლები: ავთანდილ ლომიძე, ვიქტორ მახარაძე, გია ჩემინავა, ნიკოლოზ ოპარინი, ნუგზარ პატარაია... ჩემი ოჯახის წევრებიც დიდი ხანია ადგნენ. მეუღლე და უმცროსი გოგონა სკოლაში მიდიან, უფროს ქალიშვილს კი სამუშაოზე მიეჩქარება. მხოლოდ მე შევრჩი ამ ბარათის წერას.

თვალისმომჭრელი სითეთრეა ირგვლივ. ჯერ არ მოსულან ისინი, ვინც ამ ქალაქში იცხოვრებენ, მაგრამ ქალაქი თითქმის უკვე მზადაა. მილებიდან რუხი კვამლი ამოდის. ქალაქში ამაყად დავაბიჯებთ. გვინდა დიდხანს ვიაროთ, გული მოვიჯეროთ მის ქუჩებში ხეტიალით, იმიტომ რომ ნია-გრუზინსკაიას ჩვენ ვაშენებთ, იმიტომ, რომ მოგვწონს, გვიყვარს იგი და მალე უნდა დავტოვოთ.

მინაწერი:

ახლა უკვე საქართველოში ვარ. ამ წერილს თბილისიდან გწერ. გაზეთებიდან და ტელევიზიის საშუალებით შეიტყობდი, რომ პირნათლად შევასრულეთ სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა. ციმბირის ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე ჩვენ, ქართველებმა, პირველებმა ჩავაყენეთ მწყობრში ქალაქი, რომლის სახელი ნია-გრუზინსკაია გახლავს. მტკიცე სამშენებლო კოლექტივი, რომელიც ციმბირის ძნელ პირობებში ჩამოყალიბდა და გამოიწრთო, ისევ მზადყოფნაშია. წინ უფრო დიდი საქმეები მოგველის. ჯერ არ ვიცით, ისევ ციმბირის მიწაზე დავიწყებთ სამრეწველო კომპლექსის მშენებლობას, თუ საქართველოში მანქანათმშენებლობის გიგანტის საფუძვლის ჩაყრას შევუდგებით! ერთი რამ ნათელია, სადაც არ უნდა ვიყოთ, პოეტ ევგენი ევტუშენკოს ლექსისა არ იყოს, ყველგან ქართველებად დავრჩებით და ჩვენი შრომით ყოველთვის ვასახელებთ საყვარელ რესპუბლიკას. ..

„დროშის" კონკურსში გამარჯვებული

# თოვლში ამოსული ენძელა

აკაკი გეწაძე

**სამოცი წელიწადია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. ვინც პირველად ააფრიალა ეს დროშა, ბევრი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მათი ხსოვნა უკვდავია. არავინ და არაფერია დავიწყებული.**

**როცა ვსაუბრობთ სპარტაკელებზე — საქართველოს კომკავშირის წინამორბედებზე — უმალ ბორის ძნელაძის ნათელი სახე წამოიმართება ჩვენ თვალწინ. ბორისი მარტო როდი იყო. მგზნებარე ჭაბუკ რევოლუციონერს უამრავი თანამებრძოლი ჰყავდა და მთელი ეპოქის ახალგაზრდული სული ედგა მხარში.**

**და აი, ახლა ხაშურელ ილიკო აბაიაძეს ვესაუბრები — ბორისის ერთ-ერთ თანამებრძოლს. ვესაუბრები ფიქრით, უხმოდ, კალმით.**

ილიკო, შენ ჩვენი საუკუნის შვილი ხარ. შენც და ბორისიც ქვეყნად 1900 წელს მოხვედით — მეოცე საუკუნის დამდეგის წინადღეს. დრო-ჟამმა ერთად დაგირწიათ აკვანი, ერთდროულად აიდგით ფეხი.

ჩვენ საუკუნეს რევოლუციური სული აქვს და ეს რევოლუციური სული დაგყვათ თქვენც.

ვიდრე ბორისის თანამებრძოლი გახდებოდი, მანამდე მისი ბავშვობისდროინდელი მეგობარი იყავი. მართალია, ბორისი გორში დაიბადა, მაგრამ მამამისის ოჯახი მალე ხაშურში გადმოვიდა და კარგა ხანს იქ ცხოვრობდა. ჰოდა, ყმაწვილები ალბათ ერთად თამაშობდით რიკ-ტაფელას, კაკლობანას, ომობანას... დარწმუნებული ვარ, ერთად ჭყუმპალაობდით მდინარე სურამელაშიც, სადაც მამაშენ ზაქარიას პატარა წისქვილი ედგა. ალბათ ერთად ახვედით სურამის ციხეზე და მოისმინეთ ის ლეგენდა — კედელი მანამდე რომ ვერ ააშენეს, სანამ ციხის საძირკველში ცოცხალი ჭაბუკი არ ჩაადუღაბეს. ბავშვის გული ხომ თეთრი დაფაა, რომელზეც ყველაფერი იწერება. მაშასადამე, თქვენ ყმაწვილკაცობაშივე იგრძენით — უმსხვერპლოდ მაშინ არავითარი კეთილი და დიდი საქმის გაკეთება არ შეიძლებოდა! ცხრაას ხუთი წლის რევოლუციური ამბებიც ხომ სწორედ თქვენი ბავშვობის პერიოდში დატრიალდა და იმ მშფოთვარე ჟამმაც თავისი კვალი დაამჩნია თქვენ სულს.

ბორისი, მამის ავადმყოფობის გამო, ერთხანს გურიაში, სოფელ ბურნათში ცხოვრობდა. თქვენი მეგობრობა არც მაშინ შეწყვეტილა. შენ, 15 წლის ბიჭი, უკვე ხაშურის ლიმონათის ქარხანაში მუშაობდი. ქარხანაში ძნელაძენი მუშაობდნენ და, იმედია, ბორისიც ინახულებდა ხოლმე ამ ქარხანას. ინახულებდა და თქვენ კვლავ ხვდებოდით ერთიმეორეს. მერე, როცა დაობლებული ბორისი უფროსმა ძმამ, ვარლამმა, 1916 წელს თბილისში წამოიყვანა და გამოცდები ვინოგრადოვის ტექნიკურ სასწავლებელში ჩააბარებინა, მალე შენც იმ სასწავლებელში ამოყავი თავი. ესეც, ეტყობა, ბორისის რჩევით მოხდა; 1918 წელს ამ სასწავლებელში შენ რომ „სპარტაკის" ახალი ორგანიზაცია ჩამოაყალიბე, ამ ამბავშიც, შეუძლებელია, ბორისის ხელიც არ ერიოს.

მამაცი ვაჟკაცი, თავდაუზოგავი და ფხიანი სპარტაკელი მალე კომუნისტური პარტიის წევრად მიგიღეს, მაგრამ კვლავ ახალგაზრდებს თავკაცობდი. ჯერ თბილისის პირველი რაიონის — ნაძალადევის „სპარტაკის" რაიონული კომიტეტის მდივნად აგირჩიეს, მალე კი — თავმჯდომარედ.

მაშინ უკვე ცხრამეტი წლისა იყავი და საერთო საქმისთვის არ ზოგავდი ჭაბუკურ ენერგიას.

1920 წლის ზამთარია. მენშევიკური მთავრობის წარგზავნილი ერთ-ერთი ლიდერი ეს-ეს არის ევროპიდან თბილისში დაბრუნდა და ოპერის თეატრში მოწვეულ მენშევიკთა კრებას თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები უნდა გაუზიაროს. ამ დროისათვის შენ უკვე გიცნობდნენ, როგორც მარჯვე კონსპირატორს. შენ პარტიის ყველა დავალებას ოპერატიულად ასრულებდი. ახერხებდი იარაღის შესყიდვას, ავრცელებდი ბოლშევიკურ პროკლამაციებს და ბროშურებს. აი, ამიტომაც დაგევალა ამ კრების ჩაშლა. შენ დიდი რაზმით შეიპარე კრებაზე და ზემო იარუსიდან დარბაზში მალე დასტა-დასტა მოფრიალებდა პროკლამაციები.

არც მშობლიურ ხაშურს ივიწყებდი. აქაც ჩამოაყალიბე „სპარტაკის" ორგანიზაცია. მასში ორასზე მეტი ახალგაზრდა მუშა და გლეხი გაერთიანდა. ხშირად ტრიალებდი [illegible] საკუთარ სახლში მალავდი თბილისელ ბოლშევიკებს, [illegible] არალეგალურ კრებებს.

1920 წლის შემოდგომაზე, თბილისს საბჭოთა რუსეთის ელჩად ეწვია სერგეი კიროვი. მაშინვე თბილისში ჩამოხვედი და პირველი რაიონის ახალგაზრდობა დარაზმულად მიიყვანე ბოლშევიკ ელჩთან შესახვედრად.

შენ იცოდი, რისთვის იბრძოდი, გქონდა ჭეშმარიტი რწმენა, რომ თავს სწირავდი იმ დროშისთვის, რომელზეც ეწერა: თავისუფლება, ძმობა, ერთობა, თანასწორობა. ამ რწმენას ერია რომანტიკა და ფანატიზმიც, მაგრამ არ ერია ანგარება. შენ პირადულ კეთილდღეობაზე როდი ზრუნავდი, ხალხის უკეთეს მერმისზე

დოკუმენტური მოთხრობა



ოცნებობდი, თავისუფლების მოპოვებისათვის იბრძოდი.

1921 წლის 25 თებერვალს, როცა თბილისში წითელი დროშა აფრიალდა და მენშევიკური მთავრობა დასავლეთისაკენ გაიქცა, შენ მშობლიურ ხაშურს მიაშურე, სადაც მენშევიკები გამაგრდნენ და მაშველ ძალებს ელოდნენ.

იმავე საღამოს ხაშურის მახლობლად, პატარა სოფელ ჭალაში, ხალხი შეკრიბე. თან სტუმრად ჩამოსული ნაცადი სპარტაკელი მოსე ცინცაძეც გახლდა. თქვენ ხალხს აუხსენით, რომ ბოლშევიკები მოდიან კეთილი მისიით, საქართველოში შემოსული წითელი არმია აჯანყებულ ქართველ ბოლშევიკებს ეხმარება და საჭიროა, ჩვენც დავირაზმოთ მათ დასახმარებლად. იარაღს მოვკიდოთ ხელიო, მოუწოდებდით შეკრებილებს. საჭირო იყო გვირაბის ჩაკეტვა, რომ ხაშურში გამაგრებულ მენშევიკთათვის დასავლეთ საქართველოდან ჯარი ვეღარ მოეშველებინათ. გვიან ღამით, ის-ის იყო სამოქმედო უბნები გაინაწილეთ, რომ გუშაგმა გაცნობათ, აქეთკენ გვარდიელები მოდიანო. კრება სასწრაფოდ დაიშალა. მოსე ცინცაძე დასამალავად გაიყოლიე. ჯერ მეზობელ ეზოში შეიყვანე, მერე სახლის უკანა მესერთან უკიბე, გადაახტუნე და თვითონაც მარდად გადაევლე მაღალ მესერს.

— ჰმმმ! — ამოიგმინე ყრუდ.

— ილიკო, რა მოხდა? — გკითხა შეძრწუნებულმა სტუმარმა.

სიბნელეში, თოვლის თეთრ საბურველში აბა რას დაინახავდი, რომ იქვე ლურსმანამოშვერილი მესრის ფიცარი ეგდო?! მარცხენა ფეხი ზედ ამ ფიცარს დაჰკარი და ისიც თხილამურივით აგყვა ფეხზე.

ლურსმანმა გაგამწარა, მაგრამ ვიდრე მეგობარი საიმედო ადგილას არ გადამალე, ფეხის მოვლა არც გაგხსენებია. არადა, იგი თანდათან გისივდებოდა.

დილაადრიანად თქვენს ჭიშკართან მომდგარ უცხო ხალხს მამაშენი გაეგება. ეს დაუპატიჟებელი სტუმრები მენშევიკთა გვარდიელები იყვნენ. თქვენი მდგმური ჩუმად გაქცეულა მენშევიკთა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შტაბში და შენი აქ ყოფნა უცნობებია გვარდიელებისათვის.

იმ მდგმურის უწმინდურ გვარ-სახელს შენი წმინდა სახელის გვერდით განგებ არ ვასახელებ — დაე, უხსენებლად დარჩეს.

ეზოში შემოსული უცხო ხალხი რომ დაინახე, დიახაც მიხვდი, ვინც იყვნენ, მაგრამ გასიებული ფეხი მძიმე ლოდივით გეკიდა და გაქცევა არ შეგეძლო. გვარდიელებმა სახლი გადააქოთეს, იპოვეს აკრძალული წიგნები და პროკლამაციები, მამაშენთან ერთად დაგაპატიმრეს და ჯოხზე დაბჯენილი წაგიყვანეს შტაბში. ზაქარია შებინდებისას გამოუშვეს, შენ კი... დაგიწყეს დაუზოგავად ცემა. ჯერ მუშტებს გირტყამდნენ სახეში, მერე წაგაქციეს, წიხლები დაგიშინეს, გამეტებით გიბრაგუნებდნენ თოფის კონდახს, მაუზერის ტარს, გიტყლაშუნებდნენ მათრახს, გცემდნენ და ჩაგძახოდნენ — გამოტყდი, სად გადამალე მოსე ცინცაძე, სხვა თანამზრახველებიც დაგვისახელეო. მაგრამ შენ კრინტი არ დაგიძრავს.

— იქნებ არც ის იცი, შენს სახლში ბოლშევიკური პროკლამაციები და აკრძალული წიგნები საიდან გაჩნდა?! — წამდაუწუმ ჩაგყვიროდნენ ყურში.

ჯოჯოხეთური იყო ეს წამება, განსაკუთრებით მაშინ, როცა გასიებულ ფეხზე ჯოხს გირტყამდნენ. ერთი კვნესაც არ წამოგცდენია.

— რისთვის ჩამოეხეტე ხაშურში? შენი რაზმით გვირაბის დაკავება გინდა, არა?!

მერე 1919 წლის შემოდგომაზე ხაშურში ბოლშევიკ-სპარტაკელთა აჯანყების ამბავიც გაიხსენეს.

— ეგებ ამ აჯანყებისაც არაფერი იცი, სპარტაკელთა თავკაცო?

კვლავ დუმილი — იდექი მტკიცედ და ურყევად!

— სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკთა აჯანყების ჩასაქრობად დასავლეთ საქართველოდან ეშელონი რომ მოეშურებოდა, გახსოვს, ხაშურში დაუხვდით, სროლა აუტეხეთ, მერე შტაბის უფროსი სიხარულიძე ტრიბუნიდან გადმოაგდეთ, ხოლო ეშელონი უკან გააბრუნეთ... არც ამ ამბავში ერია შენი ხელი?! თქვი, ჩვენ ყველაფერი ვიცით ! ისიც თქვი, ახლა ჩვენ წინააღმდეგ ხალხს რომ აიარაღებ.

როცა ვერაფერი გათქმევინეს, დასისხლიანებული და დალურჯებული ცივ საკანში შეგაგდეს. ნაგვემს და ნაწამებს ტკივილი ოდნავ რომ მიგიყუჩდა, წამით წაგთვლიმა. უმალვე ჩექმის წვერის ცემით წამოგაგდეს და სუსხიან ალიონზე ოთხმა გვარდიელმა თოვლიან გზაზე გაგიყვანა. ძლივს მიათრევდი რუმბივით გასიებულ და ტყვიასავით დამძიმებულ მარცხენა ფეხს.

ეჰ, რა საბედისწეროდ შეგერჭო იმ ღამეს გრძელი ლურსმანი, თორემ ვინ მოგიხელთებდა შენ! გაყინულ თოვლზე ფეხი წამდაუწუმ გიცურავდა. სამი მარტის დილა თენდებოდა, მაგრამ ხაშურში ჯერ ვერ შემოეღწია გაზაფხულის სუნთქვას. სუსხიანი ქარი უბერავდა. დასისხლიანებული, დალურჯებული, ტანსაცმელშემოფლეთილი ოცდაერთი წლის ჭაბუკი მიირწეოდი გზაზე და არ იცოდი, სად მიჰყავდი გვარდიელებს. დასახვრეტად? მერედა სასამართლო? განაჩენი რომ არ წაუკითხავთ?..

იქნებ დახვრეტით გაშინებენ, რომ გამოგტეხონ და ყველაფერი გათქმევინონ?

ფიქრებში გართულმა ანაზდად თვალი მოჰკარი თორმეტი წლის ბიჭუნას და უმალვე იცანი შენი მამიდაშვილი თორნიკე ციცქიშვილი. ეტყობა, შინიდან წყლის მოსატანად გამოეგზავნათ, ხელში დოქი ეჭირა.

მოგვიანებით თორნიკე იმ დილას ასე მოიგონებს:

— დავინახე, კოჭლობით მიდის ილიკო, ჯოხს ებჯინება, ოთხი გვარდიელი მიჰყვება. ნუთუ ამ ურჯულოებმა თოფი უნდა ესროლონ ილიკოს? გავეკიდე. მინდოდა მეკითხა, ამ თოფიან ხალხს სად მიჰყავხარ-მეთქი? ილიკომ რატომღაც ისე მკაცრად შემომხედა, წყლით სავსე დოქი ხელიდან გამივარდა და გაყინულ გზაზე დაეცა. ერთმა გვარდიელმა დამიყვირა, რას მოგვდევო, ილიკოს ჯერ მუჯლუგუნი ჰკრა, ნუ ჩერდებიო, მერე თოფის კონდახი ჩასცხო. შინ გამოვიქეცი და რაც ვნახე, მამაჩემს ვუამბე. ეტყობა, მამაჩემი გამიფრთხილდა: ბავშვი გვარდიელებს არ გაეკიდოს, ხიფათს არ გადაეყაროსო და დამაიმედა — რაკი ფეხი სტკივა, ალბათ, დედულეთისკენ მიჰყავთ ჭრილობის შესახვევად, ნუ გეშინია, არაფერს დაუშავებენო. ცოტა ხნის შემდეგ მაინც გავიპარე შინიდან...

ილიკო, მენშევიკთა გვარდიელებმა შენ ღრმაღელისკენ წაგიყვანეს. ცას ახედე. უკიდეგანო და უსასრულო იყო ცარგვალი. ახლა იმ ცაზე აღარც ვარსკვლავები ციმციმებდნენ, არც მზე ენთო. მზე ჯერ თბილისში იყო და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მოასხივებდა შუქს.

ირგვლივ თოვლი იდო. მხოლოდ ერთი პატარა გორაკის სამხრეთი ფერდობი იყო გარილოჭრილოვებული. ანაზდად იმ რილოჭრილში ამოსული ენძელა შენიშნე. მისმა ხილვამ გაგახარა და მოსაწყვეტად წაეტანე. შეცბუნდა ის გვარდიელი, კონდახს რომ გირტყამდა ხოლმე, ალბათ გაიფიქრა, ვაითუ ქვა ესტაცოს და თავში მთხლიშოსო, ხელზე თოფის ლულა დაგარტყა. შენ მაინც მოასწარი გაზაფხულის მახარობლად თოვლში ამოსული ცისფრად მოციმციმე ყვავილის მოწყვეტა. სურნელი არ ჰქონდა, მაინც ვერ შეელიე.

დავუბრუნდეთ კვლავ თორნიკეს მოგონებას:

— გზაზე ვერავინ დავინახე, ცარიელი იყო. მიწაყრილამდეც არ გამოვბრუნდი და წინ გავუტიე. ღელეში რომ შევედი, სროლა მომესმა. დავითვალე: თორმეტჯერ ისროლეს. მაშინ ცარიელ ვაზნებს ვაგროვებდი და გავკურცხლე იქით, საიდანაც სროლა მომესმა. ვხედავ, ბოგირის მახლობლად, სისხლით გადაწითლებულ გაყინულ თოვლზე, გულაღმა გდია ილიკო. მარჯვენა ხელში კვლავ ჯოხი უჭირავს, მარცხენაში კი — ენძელა, სისხლით წითლად მოთხვრილი ცისფერი ენძელა. არც ორმო გაუთხრიათ, არც ხელები შეუკრავთ, ისე დაუხვრეტიათ. გვარდიელები აღარსად ჩანდნენ. უსროლიათ და უმალვე წასულან. გვამის აქეთ თორმეტი ცარიელი ვაზნა ეგდო. ილიკოს მხოლოდ სამი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი: ერთს ნიკაპი გაენგრია და კეფაში გასულიყო, მეორეს — მხარი გაეგლიჯა, მესამეს — მკერდი. ცხრა ტყვია ცაში გაუფრენიათ. ეტყობა, ოთხივე გვარდიელმა ესროლა, — ოთხივემ სამსამი ვაზნა. სამმა განგებ ყველა ტყვია ცაში გააფრინა და მხოლოდ ერთმა დაუმიზნა ზუსტად ილიკოს... ალბათ, იმან, მე რომ გამომაბრუნა გზიდან და ილიკოს კონდახს ურტყამდა. ყველა გვარდიელი როდი თანაუგრძნობდა მენშევიკებს. ამჟამადაც ხშირად ვფიქრობ: დროზე რომ მიმესწრო ჩემი ბიძაშვილი იქნებ დახვრეტას გადამერჩინა-მეთქი. ცარიელი ვაზნების აკრეფა აღარც მომგონებია, შინისკენ თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი...

კვლავ შენ გესაუბრები, ილიკო აბაიაძევ!

გვარდიელებმა თოფები რომ შემართეს, ალბათ მაშინაც არ გეგონა, რომ დასახვრეტად გაგიმეტებდნენ. მაგრამ იგრიალეს შაშხანებმა და.. შეტორტმანებულმა ერთიღა იგუმანე: გვარდიელთა წინ მონასავით არ განვერთხოო! გულაღმა დაეცი და შენ თვალწინ გადატრიალდა მთელი სამყარო. თითქოს ცის უფსკრულის უსასრულობაში გაფრინდი, თვალგაშტერებული უსაზღვრო ცასღა ხედავდი, — მზის მომლოდინე უკიდეგანო ცას. ასეთ ცაში ზაფხულობით ტოროლები დასრიალებენ, მზეს ეგებებიან გალობით, ახლა კი მხოლოდ გაზაფხულის დამდეგი იყო და შენ, თოვლზე მწოლარეს, გაციებულ ხელში ცისფერი ენძელა გეჭირა, შენივე სისხლით წითლად შეღებილი, უსურნელო ენძელა....

სამი საფლავი გარგუნა ბედმა, ილიკო. სამი მარტის საღამოს გვარდიელთა შიკრიკებმა პატარა ორმოში ჩაგაწვინეს და თოვლში აზელილი მიწა მიგაყარეს. ოთხ მარტს ბოლშევიკთა თანამგრძნობი მღვდელი პეტრე კაპანაძე დაეხმარა შენს ჭირისუფალს, კერძოდ, დედულეთის ბიძას სიკო ცქიფურიშვილს, მოგიპარეს, შენი ცხედარი ჩალა-თივაში შემალეს, ურემზე დაგაწვინეს, ჩუმად წამოგიღეს და ხაშურის ძველ სასაფლაოზე საიდუმლოდ დაგკრძალეს.

მეორე დღეს, ხუთ მარტს, ხაშურშიც აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების დროშა და ამ დროშისათვის თავდადებული მამაცი ჭაბუკი 10 მარტს გადაგასვენეს გორათის სასაფლაოზე. დაგკრძალეს სამხედრო პატივით, თოფების ბათქით. შენ საფლავთან გაიმართა პირველი საბჭოური მიტინგი, რომელიც დემონსტრაციად იქცა. შენმა თანამებრძოლმა სპარტაკელებმა და სხვებმაც შემოგფიცეს, რომ წითელ დროშას არასოდეს დახრიდნენ და მუდამ შეინახავდნენ შენს ნათელ ხსოვნას, მარად ემსახურებოდნენ იმ დიად საქმეს, რისთვისაც სისხლი დაღვარე შენ.

ილიკო, შენ სიცოცხლის ფასიც იცოდი და სიკვდილისაც. ჰოდა, გამარჯვებული დაეცი. ადამიანებს ხშირად სწორედ მაშინ ესვრიან ტყვიას, როცა მათ სხვანაირად ვერაფრით ამარცხებენ, როცა მათ სულს ვერ ჟიდულობენ. ჰოდა, ვერც შენ დაგამარცხა ტყვიამ...

მოსე ცინცაძემ იმ დღის შემდეგ კიდევ 46 წელიწადი იცოცხლა და იმოღვაწა. იგი ხშირად ამბობდა: ეს სიცოცხლე ილიკო აბაიაძის ნაჩუქარი მაქვსო.

მაგრამ შენ სხვებსაც აჩუქე სიცოცხლე...

შენ მარტოოდენ ოცდაერთ გაზაფხულს შეესწარი. არ დაგიტოვებია ლექსები, ანდა სხვა ნაწერები, რომლებშიც შენი სული იქნებოდა აღბეჭდილი; არ დაგრჩენია შვილი, რომელიც შენ სისხლ-ხორცსა და ფესვს შეინახავდა, მაგრამ დაგრჩა შენი სახელობის ქუჩა. ამ ქუჩაზე მომღიმარე ხალხი დააბიჯებს. დაგრჩა შენი სახელობის სკოლაც. ამ სკოლაში ბევრი სახელოვანი ადამიანი აღიზარდა. და, რაც მთავარია, შენ დატოვე სახელი, რომელიც ხალხის სულს შეეზიარა და უკვდავებად იქცა.

დღეს მე სწორედ ამ უკვდავ სიცოცხლეს გავესაუბრე.

# შეთქმულება გონების წინააღმდეგ

დავით გეგეშიძე,
დოცენტი

თანამედროვე კაპიტალისტური სამყარო მისტიციზმისა და ირაციონალიზმის ფართო ტალღამ მოიცვა. პრესის ფურცლები აჭრელებულია სენსაციური, მსხვილი შრიფტით აწყობილი სტატიების სათაურებით — „იესოს რევოლუცია“, „ოკულტისტების ახალი სიტყვა“, „სპირიტიზმი — მომავლის იმედი“, „ღმერთის ახალი გამოცხადება“, „მაგია — მომავლის პერსპექტივა“ და სხვა.

ბევრი ბურჟუაზიული იდეოლოგი მისტიკის აღორძინებას თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის სოციალური შედეგების ატრიბუტად მიიჩნევს, მას მეოცე საუკუნის — ელექტრონული ცივილიზაციის“, „ადამიანის კრიზისის“ და ამ კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად თვლის. სინამდვილეში ეს მტკიცებანი უსაფუძვლოა. ვ. ი. ლენინის განმარტების თანახმად, მისტიკის — „ყველაზე საშინელი საშინელების“ — თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში გავრცელება კაპიტალიზმის კრიზისული მდგომარეობის ადექვატური ასახვაა. შიში ხვალინდელი დღისადმი, უმწეობა სოციალური უსამართლობის წინაშე, უთანასწორობის განუსაზღვრელი ბატონობა „ცრურწმენის ინდუსტრიის“ ბიზნესის საფუძველი გახდა.

პიროვნება „მოთხოვნილებების საზოგადოებაში“ გარიყულია, იგი სულ უფრო გრძნობს ღირებულებათა დევალვაციას, ცხოვრების საზრისის არარაობას, პრაგმატისტული ურთიერთობების საშინელებას. ადამიანი ნიჰილიზმის, პესიმიზმის სრული აგონიის ჭაობში ეფლობა. ასეთ პირობებში თანამედროვე ბნელეთის მოციქულები მას მისტიკის, ირაციონალიზმის, ოკულტიზმის, სპირიტიზმისა და სხვა მისი მსგავსი იდეური სუროგატებით კვებავენ.

მისტიციზმის სხვადასხვა მიმდინარეობა სხვადასხვა საშუალებით ცდილობს ადამიანთა გონების დაბნელებას, მაგრამ მათ ის საერთო ნიშანი ახასიათებთ, რომ ყველა ქვეყნის დასასრულს ქადაგებს. „ევროპის მზის ჩასვენების“ ბერდიაევისეული თვალსაზრისი ახლებური ფორმით წარმოდგება სოციოლოგიურ, თეოსოფიურ და ფილოსოფიურ ნაშრომებში.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ფართოდ არის გავრცელებული თეოსოფიური შეხედულებები. არსებობს სხვადასხვა თეოსოფიური გაერთიანება, გამომცემლობა, საზოგადოება. თეოსოფების მტკიცების თანახმად, ერთადერთი სუბსტრატი არის სული. საჭიროა ამ სულებთან დაკავშირების გზების გამონახვა და მისი საშუალებით ადამიანთა ბედის წარმართვა. ამ მიზნით დგება სხვადასხვა სქემა, მოდუსი, ჰოროსკოპი.

ამ უკანასკნელ დროს მეტად პოპულარული გახდა გერმანელი თეოსოფის რუდოლფ შტეინერის ნაშრომების იდეების პროპაგანდა. რუდოლფ შტეინერი ნეოპლატონიკოსების, გნოსტიკოსების და მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების მისტიკოსების მემკვიდრეობათა ეკლექტიკური ნარევით შეეცადა სულებთან დაკავშირების სისტემის შექმნას. მის მტკიცებას საფუძვლად დაედო წინასწარგანსაზღვრულობის პრინციპი, რომლის თანახმადაც ყოველივე და ყველაფერი წინასწარდაპროგრამირებული სქემით მიმდინარეობს. ადამიანებს არ ძალუძთ მისი შეცვლა ან მისი მიმართულებისაგან მცირეოდენი გადახრა.

შტეინერის წინასწარგანსაზღვრულობის პრინციპი მთლიანად „მოერგო“ ბურჟუაზიული პროპაგანდის მიზნებს — მონობაში იყოლიოს ხალხთა მასები, გაუქარწყლოს მათ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის იმედები, გახადოს ისინი უბრალო რობოტებად. აი რატომ უხსნის გზას ბურჟუაზიული პრესა და გამომცემლობები თეოსოფიური შრომების ნაკადს.

დიდი მასშტაბით, სხვადასხვა მრავალფეროვანი საშუალებით ვრცელდება კაპიტალისტურ ქვეყნებში სპირიტისტული იდეები. სპირიტიზმი არის მისტიკური სწავლება „მკვდართა სულების“, იმქვეყნიური სამყაროსა და მისი კანონზომიერების არსებობის, მასთან ურთიერთობის დამყარების შესახებ.

სპირიტიზმის მამამთავრად ამერიკელი ენდრიუს ჯეკსონი ითვლება, რომელიც მღვდელ სმიტთან ერთად თითქოს „მკვდრების სულებთან“ დაკავშირების დემონსტრაციას ახდენდა. მას ეს ყველაფერი აღწერილი აქვს წიგნებში: „სულებთან ურთიერთობის ფილოსოფია“, „დიადი ჰარმონია“, „მაგნიტური კვერთხი“ და სხვა.

მეცნიერებამ დიდი ხანია ფარდა ახადა სპირიტისტული სეანსების მთელ საიდუმლოებას, ახსნა მისი მექანიზმი, დაასაბუთა, რომ მედიუმები, უბრალოდ, შარლატანები არიან. მიუხედავად ამისა, აშშ-ში, საფრანგეთში, გფრ-ში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მასობრივად არის გავრცელებული მედიუმეობა.

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ სპირიტიზმის გავრცელების ფარგლებზე, მივუთითებთ, რომ ინგლისსა და აშშ-ში არსებული სპირიტისტული ჟურნალების რედკოლეგიების შემადგენლობაში შეყვანილნი არიან გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების „სულთა ორეულები“, რომლებიც თითქოსდა მონაწილეობენ ჟურნალის რედკოლეგიის მუშაობაში.

თეატრალურ წარმოდგენებში, პიესებში, კინოებში, რადიოგადაცემებში მოქმედ პირთა შორის გარდაცვლილ ადამიანთა სულებიც „მონაწილეობენ“. ისინი იძლევიან დარიგებებს, რჩევებს ცხოვრების შესახებ და ა. შ.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სპირიტისტული მიმდინარეობის ისეთი ნაირსახეობა, როგორიც არის სვედენბორგელობა. სახელწოდება წარმოდგება შვედი თეოსოფის და მისტიკოსის ემანუელ სვედენბორგის გვარიდან. ე. სვედენბორგი, თავდაპირველად ცნობილი ნატურალისტი, შემდგომში მისტიკოსი, აშკარად გამოდიოდა მისტიკური თვალთახედვის რეალობის მხარდამჭერად. მისი მტკიცების თანახმად, რეალურად არსებულ სულების სამყაროსთან დაკავშირება შესაძლებელია რელიგიური ექსტაზის, მეექვსე გრძნობის საშუალებით. ამ დაკავშირების შემდეგ კი ადვილია ადამიანის ბედის შესაბამისი მიმართულებით წარმართვა, ანდა მისი მომავლის ამოცნობა.

სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ სვედენბორგი ფსიქიკური მოშლილობის გამო ხშირად ჰალუცინაციების სამყაროში ვარდებოდა, რაც მას რეალურ ფენომენად მიაჩნდა. სვედენბორგის ფენომენი თავის დროზე მთლიანად გამოააშკარავა გერმანელმა ფილოსოფოსმა ემანუელ კანტმა, რომელმაც დაასაბუთა სვედენბორგის მტკიცებათა სრული უსაფუძვლობა და მიუღებლობა.

მიუხედავად ამისა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში სვედენბორგელთა ორგანიზაციები ფართო სამისიონერო საქმიანობას ეწევიან. ფილადელფიის მახლობლად არსებობს „სვედენბორგელთა სამეცნიერო ასოციცია“. ინგლისში არსებობს სპეციალური სვედენბორგელთა ორგანიზაცია „ახალი იერუსალიმი“. მხოფლიო „სვედენბორგელთა ფონდი“ ბეჭდავს თავისი ფუძემდებლის — „დიდი წინასწარმეტყველის“ შრომებს მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. ამ ასოციაციის ჟურნალი „ახალი ფილოსოფია“ კაპიტალისტური სახელმწიფოების წიგნის ბაზარზე დიდი ტირაჟით საღდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართო პოპულარობით სარგებლობს ბურჟუაზიულ სამყაროში ასტროლოგიური ჰოროსკოპების ავტორიტეტი. ასტროლოგია ისეთი სახის მისტიკურ შეხედულებათა სისტემაა, რომლის თანახმადაც ადამიანების, ომების, მოსავლიანობის და, საერთოდ, ყველა მოვლენის ბედი მთლიანად ციური სხეულების განლაგებით არის განსაზღვრული. საკმარისია ამ განლაგების ამოკითხვის ხელოვნების წვდომა და ამით ადამიანთა მომავლის ამოცნობაც შესაძლებელია. გფრ-ის სპეციალური გამომცემლობა „ცენიტი“ მხოლოდ ასტროლოგიური „ლიტერატურის“ დასტამბვით არის დატვირთული.

კაპიტალისტურ ქვეყნებში საკმაო პოპულარობით სარგებლობს წინასწარმეტყველთა, მისანთა და მკითხავთა ავტორიტეტი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში მათი მოსამზადებელი სასწავლებლებიც არსებობს.

უკანასკნელ დროს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ოკულტიზმის ლიდერები და მიმდევრები. ოკულტიზმი ანუ „დაფარული ძალების მეცნიერება“ მიზნად ისახავს თითქოსდა ჯერ შეუმეცნებელი კანონზომიერების შემეცნებას. მათი მტკიცების თანახმად, არსებობს „მისტიკური კანონზომიერება“, რომლის წვდომის უნარი ჯერჯერობით ადამიანებს არა აქვთ, მაგრამ ეს დროთა განმავლობაში დაძლეული იქნება. ოკულტისტები მეცნიერების თანამედროვე განვითარების ტენდენციების არასწორი ინტერპრეტაციით ცდილობენ იგივე ამოცანის შესრულებას, რასაც მისტიციზმის სხვა წარმომადგენლები ემსახურებოდნენ.

მისტიკური იდეების პროპაგანდისათვის გამოიყენება ტექნიკის უახლესი საშუალებანი — კიბერნეტიკა, გამომთვლელი მანქანები, სპეციალური სქემები. კაპიტალისტურ სახელმწიფოებში არსებობს მისტიკური ცდების ჩასატარებელი ხელსაწყოების სპეციალური გაერთიანებები, საწარმოები, მაღაზიები.

ასეთ ფართო ასპარეზს იჭერს მისტიკა კაპიტალისტური ქვეყნების სინამდვილეში. თეოლოგების, თეოსოფების, ოკულტისტების და სხვა მისი მსგავსი სჯულის მიმდინარეობათა წარმომადგენლების ყოველგვარი ცდები, როგორმე დაიცვან კაპიტალისტური წყობილება, უნაყოფოა.



# ბაგრატიონის ნაკვალევზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან შერვაშიძე

სუზდალი, იურიევ-პოლსკი, სიმი, შემდეგ კი ვლადიმირი, ძველი და ფრიად თანამედროვე ქალაქი მნახველს აოცებს არა მარტო მაღალგანვითარებული მრეწველობით, არამედ რუსული ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლებითაც. იგი ნამდვილი ქალაქი-მუზეუმია.

ვლადიმირ-სუზდალის მუზეუმი-ნაკრძალი მოიცავს ამ მხარის ისტორიის უდიდეს პერიოდს ძველი ქვის ხანიდან ოქტომბრის რევოლუციამდე. ექსპოზიციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს, რომელიც ყველაზე ძლიერი იყო მე-12 საუკუნის რუსეთის სამთავროებს შორის. აქ წარმოიშვა რუსეთის მიწების გაერთიანების პროგრესული იდეა, რომელიც მერე მოსკოვმა განახორციელა. მრავალრიცხოვანი მასალა მოგვითხრობს ძველი ვლადიმირის, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დედაქალაქის, სამხედრო, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაზე.

ხუროთმოძღვრების საუკეთესო ქმნილებაა დიმიტრის ტაძარი. ეს არქიტექტურული სასწაული აშენდა მე-12 საუკუნეში.

ვლადიმირ-სუზდალის ხშირი სტუმარი იყო ლეგენდარული მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი.

სიცოცხლის უკანასკნელი დღეებიც მან სოფელ სიმში, ბორის გოლიცინის მამულში გაატარა. თვით გოლიცინი სამამულო ომის პერიოდში სამი გუბერნიის (მათ შორის ვლადიმირის) სახალხო ლაშქარს მეთაურობდა, ხოლო მისი შვილი ნ. გოლიცინი სამამულო ომის აქტიური მონაწილე იყო.

როგორც ცნობილია, ბორის გოლიცინის მეუღლე ქართველი ქალი ანა ალექსანდრეს ასული ბაგრატიონი იყო (პეტრე ბაგრატიონის მამიდა). პ. ბაგრატიონი გარდაიცვალა სიმში, გოლიცინების სახლში. ამ სახლის ფასადზე აკრულ თუჯისაგან ჩამოსხმულ დაფაზე ვკითხულობთ: „ამ შენობაში 1812 წ. გარდაიცვალა დიდი მხედართმთავარი, სამამულო ომის გმირი, მეორე დასავლეთის არმიის მთავარსარდალი ბაგრატიონი პეტრე ივანეს ძე“.

სახლი დგას ვეებერთელა პარკში, სადაც დღემდე შემონახულია „ბაგრატიონის პავილიონი“ და ობელისკი.

აქვე ახლოს, გოლიცინის სახლისა და პარკის მოპირდაპირე მხარეს, მდინარე სიმკის ნაპირზე, ძველი საყდრის ნანგრევებია. ამ საყდრის გალავანში იყო დაკრძალული ბაგრატიონი. საფლავზე ორნამენტებით შემკული ბრინჯაოს დაფა იდო წარწერით:

„გამვლელო, შეხე, აქ მარხია გმირი მხედარი
ვინც ალპებს რისხვად მოევლინა, იმის ცხედარი,
ბოგ-რატი-ონი, მამულსა და ტახტს რომ იცავდა,
ნაპოლეონი ვინც დალახვრა, აქ გარდიცვალა.

უძლვნის სუვოროვის დისწული. სოფელ სიმში, 1843 წლის მარტის 7-სა დღესა გრაფი ხვოსტოვი“. ეს დაფა ამჟამად იურიევ-პოლსკის მუზეუმში ინახება.

როგორც ცნობილია, 1839 წელს ბაგრატიონის ნეშტი დიდი პატივისცემით გადაასვენეს ბოროდინოში, რომელიც რუსი მეომრების დიდების ძეგლებით არის შემკული.

ბოროდინოს მუზეუმის წინ აღმართულია ბაგრატიონის ძეგლი. სიმში კი, ბაგრატიონის ყოფილ საფლავზე, ახლაც არის შემორჩენილი თეთრი გრანიტის დიდი ქვის დაფა, რომელზეც გამოკვეთილია ბაგრატიონის პროფილი და ავტოგრაფი. აქ აშენდება პარკი და დაიდგმება ბაგრატიონის ობელისკი.

ამჟამად გოლიცინების სახლის მთელი მოწყობილობა: ძველებური ავეჯი, შესანიშნავი მხატვრული ტილოები, საგვარეულო არქივი, პეტრე ბაგრატიონის კუთვნილი ნივთები და მრავალი სხვა მასალა გადატანილია იურიევ-პოლსკის სახელმწიფო მუზეუმში.

უკანასკნელ დროს ბევრი რამ გაკეთდა პეტრე ბაგრატიონის სახელის უკვდავსაყოფად. 1962 წელს მოსკოვში, კუტუზოვის პროსპექტზე, გაიხსნა „ბოროდინოს ბრძოლის პანორამის“ ახალი შენობა, რომელშიც ფართოდ არის ასახული მეორე არმიის მთავარსარდლის, ინფანტერიის გენერლის პეტრე ბაგრატიონის, ომების ისტორიაში ამ უდიდესი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი გმირის საბრძოლო საქმეები. მართლაც, ბოროდინოს ბრძოლაში ბაგრატიონის სიმაგრეებს შეალია ნაპოლეონმა თავისი ჯარების მთავარი ძალა და მაინც ვერ გაიმარჯვა. ამ სიმაგრეებთან დაიფერფლა მისი დივიზიების მეტი ნაწილი, სწორედ აქ გაუტყდა ხერხემალი ნაპოლეონის ძლიერებას.

„ბოროდინოს ბრძოლის პანორამის“ ახალი შენობის ფასადს ამშვენებს ვეებერთელა პანო პარტიზანებისა და სახალხო ლაშქრის გამოსახულებით, მარჯვნივ — მ. კუტუზოვის ბარილიეფი და დიდი პანო, რომელზეც მოჩანს მძიმედ დაჭრილი პეტრე ბაგრატიონი ბოროდინოს ბრძოლის ველზე. მოსკოვის ერთ-ერთ რაიონში (ფილში) უკვე რამდენიმე წელიწადია გაიხსნა მეტროპოლიტენის სადგური „ბაგრატიონოვსკაია“. ამავე რაიონში ერთ-ერთი პროსპექტი ბაგრატიონის სახელს ატარებს.

პ. ბაგრატიონი დაიბადა ყიზლარში და თექვსმეტ წლამდე იქ ცხოვრობდა. ახლა იქ ერთ-ერთი მთავარი ქუჩა, ისევე როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ბაგრატიონის სახელობისაა.

ბელორუსიაში, ქალაქ ვოლკოვსკში იდგა ბაგრატიონის მეორე არმია ნაპოლეონის თავდასხმამდე. აქვეა ბაგრატიონის მუზეუმი.

ქალაქ ბაგრატიონოვსკში (კალინინგრადის ოლქი) აღმართულია მხედართმთავრის ძეგლი. აქ ნაპოლეონის წინააღმდეგ მეოთხე კოალიციის დროს იგი სარდლობდა მოკავშირე ჯარების ავანგარდს და ამ ფრონტზე მისი მოქმედება, გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის ბ. კოლიუბაკინის სამართლიანი თქმით, „ფასდაუდებელი დამსახურებაა 1807 წლის კამპანიაში“. ქალაქ კალინინგრადში ერთ-ერთი მთავარი ქუჩა ბაგრატიონის სახელობისაა.

როგორც ცნობილია, დიდი სამამულო ომის პერიოდში, 1944 წელს, ერთ-ერთ უდიდეს სტრატეგიულ ოპერაციას ბელორუსიაში ეწოდა ოპერაცია „ბაგრატიონი“, რომლის ბრწყინვალედ დამთავრებასთან დაკავშირებით ბელორუსიის ფრონტის სარდალს კონსტანტინე როკოსოვსკის საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მიენიჭა. 1944 წლის დამლევს შორეული კანადიდან ბაგრატიონის ნათესავებმა საჩუქრად გამოუგზავნეს მარშალ როკოსოვსკის პეტრე ბაგრატიონის კუთვნილი დიდი მოოქრული სასმისი მისივე სურათით. ეს საჩუქარი ამჟამად გამოფენილია სუვოროვის სახელობის ლენინგრადის მუზეუმში.

პეტრე ბაგრატიონი თავისი სახელით ამშვენებს მსოფლიოს დიდი მხედართმთავრების პლეადას. ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს ლეგენდარული თანამემამულის ცხოვრებით.



# მოძღვარი

აკადემიკოს ვარლამ თოფურიას დაბადებიდან 80 წელი შესრულდა.

თითქმის თხუთმეტი წელია, ქართველი ენათმეცნიერები, და არა მარტო ენათმეცნიერები, ვარლამ თოფურიას დაბადების დღეს იკრიბებიან უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში, რათა მოუსმინონ დიდებული მოძღვრის მოწაფეთ და მოწაფეთა მოწაფეებს, რომელნიც ერთგვარ ანგარიშს აბარებენ თავის სახელოვან წინაპარს და ქედს იხრიან მისი ნათელი ხსოვნის წინაშე...

აკადემიკოსი ვარლამ თოფურია იყო დიდი მეცნიერი, რომლის უაღრესად დახვეწილ, მეცნიერული სტილით დაწერილ ნაშრომებს ქართული და ქართველური ენების, მთის იბერიულ-კავკასიური ენების სტრუქტურისა და ისტორიის, ზოგადი ენათმეცნიერების, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა თუ ქართული ენის სწავლების მეთოდიკის მნიშვნელოვან საკითხებზე მკვლევართა არაერთი თაობა აღუზრდია. იგი ამავე დროს იყო ბრწყინვალე პედაგოგი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი მოქალაქე და უსპეტაკესი ადამიანი, რომელიც თავის გარშემო სინათლესა და სითბოს გამოსცემდა, სიკეთესა და სათნოებას თესავდა...

ვინც მას იცნობდა, კარგად მოეხსენება ვარლამ თოფურიას უბრალოება და თავმდაბლობა, მოკრძალება და თავაზიანობა, თავდაჭერილობა და ტაქტი, რაც შესანიშნავად იყო შერწყმული მკაცრ მომთხოვნელობასა და ობიექტურობასთან, სამართლიანობასა და პირდაპირობასთან.

ყველაზე ნათლად იგი გვახსოვს უნივერსიტეტის ქართული ენის კაბინეტში — სტუდენტებთან კონსულტაციებზე, ასპირანტებთან მუშაობისას, კათედრის სხდომებზე... კვლავ წარმოგვიდგენია ლექციის დროს, როცა მრავალრიცხოვან ახალგაზრდობას აზიარებდა იმ საიდუმლოს, რომელიც „ენასა შინა დამარხულ არს“... კვლავ ჩვენს გვერდით არის ჩვენი მასწავლებელი სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომებზე, სადიპლომო თუ საკურსო შრომების დაცვაზე... თითქოს კვლავ ვხედავთ ადრიანად მოსულს, სტუდენტებთან მუშაობაში რომ დაჰლამებია... მისთვის არ არსებობდა პატარა და დიდი საქმე, როდესაც ეს ახალგაზრდობას, მომავალ თაობას ეხებოდა... ახალგაზრდობასთან ურთიერთობა, მისი ჭეშმარიტების გზაზე დაყენება ვარლამ თოფურიას ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. იგი უნერგავდა მოწაფეებს კეთილსინდისიერებასა და საქმისათვის თავდადებას, უღვივებდა მოვალეობის იმ დიდ გრძნობას, რომელსაც ახალგაზრდა პედაგოგი საქართველოს შორეულ კუთხეში მიჰყავდა აღმზრდელის წმინდა საქმის შესასრულებლად. ჩვენი ძვირფასი მოძღვრის თანადგომისა და დახმარების რწმენა იყო ის ძალა, რომელიც ახალბედა მასწავლებელს უდიდესი იმედით შეაღებინებდა ხოლმე საკლასო ოთახის კარს.

„ადამიანი, პირველ რიგში, ნამდვილი მოქალაქე უნდა იყოს და შემდეგ—მეცნიერი“,—ამბობდა იგი. ნამდვილი მოქალაქეობის უპირველეს პირობად კი ადამიანის მოვალეობის ღრმად შეგნება მიაჩნდა. მისი შრომა, თავდაუზოგავი ერთგულება მოვალეობისა და საქმისადმი, ასეთივე სულისკვეთებით ზრდიდა მომავალ თაობას, რომელსაც მან გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე გამოსულ თავის პატარა წიგნში ანდერძივით დაუბარა: „ქართველმა ერმა... უნდა ისწავლოს და სხვასაც ასწავლოს თავისი ენა, ლიტერატურა, ისტორია. ეს ჩვენი ახალი თაობის პირველი და მთავარი მოვალეობაა“.

ელენე კოშორიძე,
დამანა მელიქიშვილი,
დოცენტები.

## სადღესასწაულო ხორუმი

მეგობრული შარჟი



ხორუმის მონაწილენი: მწერალი ნოდარ დუმბაძე, რეჟისორი რობერტ სტურუა, კინორეჟისორები: თენგიზ აბულაძე, ლანა ღოღობერიძე და რევაზ ჩხეიძე.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარ გიგლა ფირცხალავას ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცნება მომავალ გამარჯვებაზე

როდესაც მსოფლიო ჩემპიონის — არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა — ბატონმა მენოტმა ევროპის თასის მფლობელთა თასის მოპოვება ქართველებს უწინასწარმეტყველა, არ გამკვირვებია. არ მიუცხოვია ამ შორსმჭვრეტელი ახოვანი იბერიელის უცდომელი წვდომა მომავლისა, რადგან მისი სიტყვა და საქმე ერთია.

შეიძლება მხოლოდ ერთი რამ არ იცოდეს დიდად პატივცემულმა მენოტმა — ქართველებიც ხომ იბერიელნი ვართ და ჩვენს ენაზე მწვრთნელს ენიოტი ჰქვია.

თბილისის „დინამოს“ დიდი გამარჯვება ვინც წინასწარ განსჭვრიტა, მან მთელ სპორტულ სამყაროს დაუმტკიცა, თუ როგორ შესძლებია ერთ კაცს მთელი გუნდის გარდაქმნა.

არგენტინელთა გუნდს ამ ერთ კაცად მენოტი ჰყავს — ნაცადი, ძველი კაცი, ჩვენს გუნდს — ახალკაცი.

დიდებულ გამარჯვებათა შემდეგ, მთელი მსოფლიო, ალბათ, იხილავს არგენტინელი მენოტისა და ქართველი ენიოტის გუნდთა ორთაბრძოლას, ვიდრე მთელი ძალით ბრწყინავენ მათი ვარსკვლავები.

იბერიელ ძმათა ასპარეზობაში რომელი გაიმარჯვებს? დაე, ეს ისევ არგენტინელთა ნაკრების სწორუპოვარმა მწვრთნელმა იწინასწარმეტყველოს.

ოთარ ჭელიძე

# ჭადრაკი

ძვირფასო მკითხველო!

ამიერიდან ჩვენი ჟურნალი გთავაზობთ ახალ განყოფილებას, რომელიც ჭადრაკს ეძღვნება.

დედამიწის ყოველ კუთხეში მილიონობით ადამიანს უყვარს ჭადრაკი, უყვარს ალბათ იმიტომ, რომ ამ ბრძნულ თამაშში ასე ლამაზად, ესოდენ ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს შეუპოვარი სპორტული ბრძოლის სიმძაფრე და დინჯი მეცნიერული კვლევის სიღრმე, სანახაობრივი მიმზიდველობა და უმაღლესი ესთეტიკური სიამოვნება, რასაც მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვნებასთან შეხვედრა გვანიჭებს ხოლმე.

ჭადრაკის თამაში ადამიანმა ძალიან დიდი ხნის წინათ ისწავლა. მისი ფესვები ათასწლეულებს მიღმაა საძიებელი.

საოცარი ჰიპოთეზა წამოაყენა ამას წინათ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. მასონმა: იგი ვარაუდობს, რომ ჭადრაკის ასაკი რვა ათასი წლით განისაზღვრება! მეცნიერი ამგვარ დასკვნამდე მიიყვანა სამხრეთ თურქმენეთში მკვიდრ მიწათმოქმედთა უძველესი სოფლის გადიმი-ტეპეს ტერიტორიაზე (VI ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე) წარმოებული გათხრების შედეგებმა. სხვა ნივთებთან ერთად იქ აღმოჩნდა გამომწვარი თიხისგან ნაკეთები და ქვისგან გამოთლილი სათამაშო ფიგურები, რომლებმაც მკვლევართა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

მასონის აზრით, ეს იყო.... ნეოლითის ხანის საჭადრაკო ფიგურები.

იმ უძველესი დროიდან ჩვენს ეპოქამდე ჭადრაკმა განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო.

საქართველოში ჭადრაკის განვითარებას საძირკველი შორეულ წარსულში ჩაეყარა. ქართველი ხალხის სულის საგანძურში მას მუდამ საპატიო ადგილი ჰქონდა მიჩენილი. სწორედ ამ მდიდარი ტრადიციებიდან იღებს სათავეს ქართული საჭადრაკო სკოლის დღევანდელი აღორძინება, რომლის უპირველესი გამოხატულებაც ჩვენი მოჭადრაკე ქალების სასახელო გამარჯვებები და საყოველთაო აღიარება გახლავთ.

ასე რომ, სათქმელი ბევრია. იმედია, ჩვენს ახალ განყოფილებას საზრდო არ მოაკლდება. იგი მოგითხრობთ ჭადრაკის ისტორიასა და საჭადრაკო სამყაროს ღირსშესანიშნავ მოვლენებზე, გაგაცნობთ გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეებს, მეცნიერებს, მხედართმთავრებსა თუ პოეტებს, რომლებიც ამ უძველესი თამაშით ყოფილან და არიან გატაცებული, გიამბობთ გამოჩენილ დიდოსტატებსა და ოსტატებზე, მსოფლიო ჩემპიონებსა და ჩემპიონობის პრეტენდენტებზე. გზადაგზა გამოქვეყნდება საინტერესო საჭადრაკო პარტიები, ამოცანები და ეტიუდები, მოულოდნელი კომბინაციები, კურიოზები, იუმორი.

**ედუარდ გუფელდი,**
საერთაშორისო დიდოსტატი



## საქართველოს დიდოსტატები

### გაფრინდაშვილის იერიში

1974 წლის გაზაფხულზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართა შეჯიბრი თავისებური სახელწოდებით: „დორტმუნდის საერთაშორისო საჭადრაკო დღეები". მამაკაცთა ტურნირში მონაწილეობა მიიღო ნონა გაფრინდაშვილმა. მან ამ მატჩში გაიყო მესამე-მეოთხე ადგილი იუგოსლაველ გროსმაისტერ მატა დამიანოვიჩთან ერთად. ეს ლამაზი პარტიაც მაშინ გათამაშდა.

**ნ. გაფრინდაშვილი-რ. სერეატი**

(სიცილიური დაცვა)



1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 g6 5. c4 კg7 6. კe3 მf6 7. მc3 მg4 8. ლ:g4 მ:d4 9. ლd1 e5 10. მb5 0-0 11. კe2 ლh4? 12. მ:d4 ed 13. კ:d4 ლ:e4 14. კ:g71! ლ:g2?

შეცდომაა. აქ აუცილებელი იყო 14... მფ:g7 (იხ. დიაგრამა) 15. ლd4!..

ნონამ ზუსტად განჭვრიტა მოსალოდნელი შედეგი და ორი ეტლი შესწირა.

15...ლ:h1 + 16. მფd2 ლ:a1 17. ლf6!

შავები დანებდნენ, რადგან აქ გარდაუვალი იყო 18. კh6 და 19. ლg7X.

## საჭადრაკო კომპოზიციების შედევრები

### ტროიცკის ეტიუდი

დიაგრამაზე აღბეჭდილია გენიალური რუსი ეტიუდისტის,, თავის დროზე „საჭადრაკო კომპოზიციის ჯადოქრად" შერაცხილი ა. ტროიცკის ნაწარმოები. ეს ეტიუდი მან 1901 წელს შექმნა.

თეთრები იგებენ. (იხ. დიაგრამა)



ამოხსნა: 1. e8 ლ!

თეთრები სწირავენ ერთადერთ პაიკს, რათა მეტოქის ლაზიერი არახელსაყრელ პოზიციაში შეიტყუონ.

1... ლ:e8 2. ლf4+ მფg6 (მაგრამ არა 2... მფe6 3. მc7+). 3. ლg4+ მg5 4. ლh5+!!

კომბინაციის მთელი ლაზათი ამ ლამაზ შეწირვაშია: თეთრი ლაზიერის აყვანას მოჰყვება 5. მf4X, ხოლო თუ 4... მფg7, მაშინ შავ ლაზიერს ვერაფერი იხსნის.

## ორეულების ამბავი

●

— საოცარია, როგორ ჰგავხართ დიდოსტატ ტალს, — უთხრეს ერთხელ... დიდოსტატ მიხეილ ტალს.

მან ღიმილით მიუგო:

— დიახ, დიახ, ხშირად მეუბნებიან...

●

მოჭადრაკეთა ტურნირზე ერთ-ერთმა გულშემატკივარმა მეორე მაყურებელი ცნობილ დიდოსტატს მიამსგავსა და მაშინვე ბლოკნოტი გაუწოდა:

— ამხანაგო პოლუგაევსკი, თუ შეიძლება თქვენი ავტოგრაფი...

დიდოსტატის ორეული არ დაიბნა და ფურცელზე დაუდევრად, გაკრული ხელით წააწერა: „პოლუგაევსკის მოვალეობის შემსრულებელი".

●

1959 წელს იუგოსლავიაში ვაჟებს შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი ტარდებოდა. შეჯიბრებას ზღვა ხალხი მიაწყდა. მონაწილენი გულშემატკივართა იერიშებს ველარ უმკლავდებოდნენ. ყოველი ტურის შემდეგ ისედაც დაღლილ-დაქანცულ დიდოსტატებს კარებში მაყურებელთა ლაშქარი ხვდებოდა და ავტოგრაფებს სთხოვდა... მოჭადრაკეები შეფიქრიანდნენ, აღარ იცოდნენ რა ეღონათ.

— ეგ საქმე მე მომანდეთ, — დაამედა ისინი ბლედის ერთ-ერთი სასტუმროს კელნერმა. — ტყუილად კი არ მეუბნებიან, დიდოსტატ ოლაფსონს ჰგავხარო...

მეორე დღეს, პარტია რომ დამთავრდა, სატურნირო დარბაზიდან პირველი გამოვიდა მაღალი, ცისფერთვალა, ქერათმიანი მამაკაცი. „ავტოგრაფებზე მონადირენი" მაშინვე მისკენ გაცვივდნენ, დიდოსტატებმა კი ამასობაში თავს უშველეს — შეუმჩნევლად გაეცალნენ იქაურობას.

ოლაფსონის ორეული ყოველი ტურის შემდეგ ხვდებოდა მაყურებლებს, ხალისით არიგებდა ავტოგრაფებს და ძალიან დასწყდა გული, როცა დიდოსტატებმა ბლედიდან ზაგრებს გადაინაცვლეს.

## ჭადრაკზე უთქვამთ...

„ცხოვრება ჭადრაკის პარტიაა".

**სერვანტესი**

„ჭადრაკი კეთილშობილი ბრძოლაა, რომელიც ნგრევის კვალს არ ტოვებს".

**ა. ნავოი**

„ვერ წარმომიდგენია ცხოვრება... ჭადრაკის გარეშე".

**ლ. ტოლსტოი**

„ჭადრაკის თამაშში შეიძლება ადამიანის „სტილი" ამოიცნო".

**რემბრანტი**

# კიდევ ერთი მწვერვალი

გარუნ აკოფოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის „დინამოს“ ისტორიაში სამუდამოდ შევა 1981 წლის აპრილი, როცა გუნდმა სახელოვნად დალაშქრა ახალი სიმაღლეები და ოსტატობის მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი საფეხური გადალახა.

პირველი და მთავარი დასკვნა, რაც ამ გაზაფხულზე ჩატარებული თბილისელთა მატჩების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს, ასეთია: „დინამოს“ საერთაშორისო ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა და განმტკიცდა. „ეს არის ბრწყინვალე გუნდი, რომელსაც უხვად აქვს მიმადლებული ოსტატობა. იგი დაჯილდოებულია ყველა ღირსებით, რასაც კი ძალუძს აღტაცება განაცდევინოს ადამიანს“, — „ვესტ ჰემის“ მწვრთნელის ჯონ ლაიოლის ეს სიტყვები „დეილი ექსპრესმა“ გამოაქვეყნა ლონდონში დინამოელთა მატჩის მეორე დღესვე. „ტაიმსმა“ კი ამ გამარჯვების მიღმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ დაინახა: „თბილისის „დინამო“ ამაღლებს საბჭოთა საკლუბო ფეხბურთის პრესტიჟს“.

დინამოელთა საერთაშორისო შეხვედრების ნუსხა მესამე ასეულში გადავიდა. მათ უწინაც ბევრჯერ ჰყოლიათ სახელოვანი მეტოქეები და სხვა დროსაც ბევრჯერ მოუპოვებიათ მნიშვნელოვანი გამარჯვებები, მაგრამ მას შემდეგ, რაც გუნდი კონტინენტური საკლუბო ტურნირების ორბიტაზე გავიდა (1972 წლის შემოდგომიდან), უცხოელ ფეხბურთელებთან შეხვედრებმა სულ სხვა ელფერი შეიძინა. ერთია, როცა ადრე გაზაფხულზე ამხანაგურ მატჩში ამარცხებ ლუბლიანის „ოლიმპიას“ და სულ სხვაა, როცა შენს გამო ოფიციალურ ტურნირს ეთიშება საქვეყნოდ სახელგანთქმული მილანის „ინტერი“. შეიძლება „ინტერთან“ თბილისელთა მაშინდელი გამარჯვება ვინმეს შემთხვევით წარმატებად მოეჩვენა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ასეთივე ბედი ეწია იტალიის არანაკლებ პოპულარულ კლუბს „ნაპოლის“. მერე კი „ლივერპულის“ ჯერი დადგა. თქვენ გახსოვთ, რომ „დინამომ“ ლივერპულში პირველი მატჩი წააგო (1:2). აი, რას წერდა იმ მატჩის შემდეგ „დეილი ექსპრესის“ ფურცლებზე ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სპორტული ჟურნალისტი დევიდ მილერი: „ლივერპული“ 16 წელია ევროპის ტურნირებში გამოდის. ამ ხნის მანძილზე აქ მხოლოდ სამმა გუნდმა გვიჩვენა თამაშის ისეთი კლასი, როგორიც ახლა თბილისის „დინამომ“ შემოგვთავაზა: „აიაქსმა“ — 1967 წელს, „ფერენცვაროშმა“ — 1968 წელს და „ცრვენა ზვეზდამ“—1974 წელს.

ინგლისის ფეხბურთთან ხელახალი შეხვედრა შედგა წელიწადნახევრის შემდეგ, თუმცა ეს მოხდა სულ სხვა ტურნირში და კიდევ უფრო მაღალ დონეზე — მეოთხედფინალურ მატჩში. თითქოს „ვესტ ჰემს“ მოსალოდნელი საშიშროების გამო წინასწარ აფრთხილებსო, ლონდონის გაზეთი „ტაიმ აუტი“ 3 მარტის ნომერში წერდა: „...თვრამეტი თვის წინ თბილისის „დინამო“ გამოიყურებოდა ისე, როგორც შეეფერებოდა ჭეშმარიტად შესანიშნავ გუნდს“. თბილისელთა გამარჯვების შემდეგ (4:1) „დეილი ექსპრესმა“ გამოაქვეყნა რეცენზია სათაურით: „ვესტ ჰემის“ კოშმარების საღამო“. ინგლისელთა მწვრთნელმა ჯონ ლაიოლმა კი ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „თუ შეჯიბრებას გამოვეთიშეთ, იმის მოხარული მაინც ვიქნები, რომ წავაგეთ ისეთ მაღალი კლასის გუნდთან ბრძოლაში, როგორიცაა თბილისის „დინამო“. მე დიდი ხანია არც ერთი გუნდის თამაშში არ მინახავს ასეთი ზუსტი დაბოლოებები, საჩვენებელ გაკვეთილებს რომ გვაგონებენ“.



თბილისელთა გასვლა ნახევარფინალში, სადაც საბჭოთა კლუბებს 1975 წლის შემდეგ არ უთამაშიათ, სენსაციად არავის მიუჩნევია. ახლა მათ ტურნირის ფავორიტთა შორის ასახელებდნენ და ეს თავისთავად აღიარებას ნიშნავდა, თუმცა პროგნოზებში ჯერ კიდევ გამოსჭვიოდა სიფრთხილე და ეს გასაგებიცაა: ნახევარფინალში ქართველი ფეხბურთელები დღევანდელ „ვესტ ჰემზე“ უფრო ცნობილ და სახელოვან გუნდს უნდა შეხვედროდნენ. შევახსენებთ, რომ „აიაქსის“ შემდეგ „ფეიენოორდი“ ყველაზე პოპულარული გუნდია ჰოლანდიაში. სწორედ ამ გუნდში იშვა ტოტალური თამაშის იდეები, რომლებმაც შემდგომ მთელი საფეხბურთო სამყარო მოიცვა.



აი, ნახევარფინალი უკან დარჩა. „ფეიენოორდი“ დამარცხებულია. თბილისში, პირველ მატჩში, მასპინძლები იმდენად კარგად თამაშობდნენ, იმდენი თავსატეხი გაუჩინეს სტუმრებს, რომ მათ, რაკი სხვა ველარაფერი ილონეს, ერთადერთი გამოსავალი უხეშ თამაშში დაინახეს და ულირსი, აკრძალული ხერხებით იცავდნენ თავს. ამან საქმეს ვერ უშველა და ჰოლანდიელებმა შეხვედრა წააგეს ანგარიშით 0:3. „ფეიენოორდი“ ამაოდ ეცადა დეფიციტი შინ, განმეორებით მატჩში, დაეფარა. იქ მას მხარს უჭერდნენ მაყურებლები, მხარს უჭერდნენ მსაჯები, მაგრამ ქართველ ფეხბურთელთა ოსტატობამ და თავშეკავებამ თავისი გაიტანა.

როცა იმ განვლილ მატჩებს უბრუნდები, როცა გონების თვალით ხელახლა წონი და ამოწმებ როგორც მოგებულ, ისე წაგებულ შეხვედრებს, კიდევ უფრო ცხადი ხდება, რამდენად გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი გუნდი. დინამოელთა თამაში საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ უკვე სავსებით შეესაბამება თანამედროვე დონეს. დიახ, „ვესტ ჰემთან“ და „ფეიენოორდთან“ გამოცდის წარმატებით ჩაბარება ხუმრობა როდია! თბილისელთა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა შეძლო ისე დაეგეგმა და წვრთნელ-მწვრთნელთა... რემართა მუშაობა, რომ ფინალის გზაზე გუნდმა მოიგო ორივე უმნიშვნელოვანესი მატჩი: ინგლისელებთან — ლონდონში, ჰოლანდიელებთან — თბილისში. ამ შეხვედრათა შედეგებმა ჩვენს მეტოქეებს საპასუხო მატჩებში წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

ასეთი მატჩები რიგით შეხვედრებად არასდროს იქცევიან. ასეთ ბრძოლებში გამარჯვება ძალის მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს როგორც თითოეული ფეხბურთელის, ისე ერთობლივ, მთელი გუნდისაგან. „ჩვენი თვალსაზრისითაც კი ეს მართლაც განსაკუთრებული

თამაში იყო, — თქვა ლონდონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ნოდარ ახალკაცმა, — გუნდის თერთმეტივე ფეხბურთელმა გამოავლინა თავისი საუკეთესო თვისებები“. წელიწადნახევრის წინ ჩვენს გუნდს ეყო ძალა და გამოცდილება მეოთხედფინალში „ლივერპული“ დაემარცხებინა. ახლა მან კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ. შემდეგი ამოცანა, რომელიც გუნდმა უნდა გადაჭრას, სტაბილურობის გამომუშავებაა — როცა საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული ყოველი გამარჯვება წინასწარ იქნება განსაზღვრული არა მარტო „საშინაო“ შეხვედრათა შედეგებით, არამედ თითოეული მატჩისადმი სერიოზული დამოკიდებულებით და განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობითაც.

აგერ უკვე მეექვსე წელია დინამოელთა გუნდს ნოდარ ახალკაცი უდგას სათავეში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი წინამორბედებიდან გუნდში ორ სეზონზე მეტს არავინ დარჩენილა (რაც, ცხადია, მათი სურვილით არ მომხდარა), ეს დღესდღეობით ერთადერთი სასიამოვნო გამონაკლისია „დინამოს“ ისტორიაში. სამაგიეროდ ამ წლებში გუნდის შედეგებიც განსაკუთრებულია. 1964 წლის შემდეგ, როცა თბილისელებმა პირველად მოიპოვეს საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონობა, ბევრი დაიწერა თანამოაზრეთა ანსამბლის გამარჯვებაზე. მე ვფიქრობ, „დინამოში“ ნოდარ ახალკაცის მოღვაწეობის წლები, პრიზებით, მედლებით, ჯილდოებით გამორჩეულად მდიდარი წლები, სწორედ იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ამ პერიოდში იქმნება, ყალიბდება კოლექტივი საუკეთესო ოსტატებისა, რომელთაგან თითოეულმა თანამედროვე ფეხბურთის იდეები შეითვისა და შეისისხლხორცა.

ცნობილი ჟურნალისტის ლევ ფილატოვის წერილში „უცნაური პროფესია“, რომელიც ფეხბურთელთა მწვრთნელებს ეძღვნება, არის ასეთი სიტყვები: „სანამ მწვრთნელი მუშაობს, ყოველ წუთს შეგიძლია გული მოუკლა. მას გამუდმებით გილიოტინა ემუქრება, რადგან ხვალ შეიძლება მატჩი წააგოს. არავის აინტერესებს, რომ ეს მატჩი იქნება მეათასეცაა და ამ ათასში შვიდასი მაინც მოგებული აქვს...

როცა გუნდის დამარცხებაში ერთადერთ, მთავარ დამნაშავედ მწვრთნელს ასახელებენ, ეს თითქოს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გამარჯვებათა სერიებშიც მას ეკუთვნის მთავარი როლი. მაგრამ ამ აზრს რატომღაც ბევრად უფრო უხალისოდ ეთანხმებიან. წარმატებაში წილის დადების მსურველი საკმარისზე მეტია. და როცა პრიზის მოგების აღსანიშნავად ბანკეტი იმართება, ვინ გინდათ, რომ იქ არ იყოს, ვინ გინდათ, რომ ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს არ წარმოსთქვამდეს და აშკარა ქარაგმებით საკუთარ ღვაწლს არ გვამცნობდეს“.

ამ ხვედრს ვერც თბილისის „დინამოს“ დღევანდელი მწვრთნელი ასცდა. მან ეს ყოველივე თავის თავზე გამოსცადა, გაუძლო და გუნდი თითოეული ჩვენგანისათვის სასიხარულო გამარჯვებამდე მიიყვანა. ნაყოფიერი, წარმატებული მუშაობისათვის მწვრთნელს, უწინარეს ყოვლისა, მშვიდი და სტაბილური პირობები სჭირდება. გუნდში ამგვარი პირობების განმტკიცება მისი შემდგომი წინსვლის უტყუარი საწინდარია.

* * *

ჟურნალი უკვე მზად იყო დასაბეჭდად, როცა თბილისის „დინამომ“ ფინალურ მატჩში გაიმარჯვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენის „კარლ ცაისთან“ ანგარიშით 2:1 და გახდა მფლობელი ევროპული გუნდების ერთ-ერთი ფრიად საპატიო ჯილდოსი—თასების მფლობელთა თასისა. ქართველმა ფეხბურთელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ძლიერ და გამოცდილ მოწინააღმდეგესთან და ეს გამარჯვება დაგვირგვინდა იმავე სტილში, როგორც ამ ევროპული ტურნირის სხვა მატჩები.

თბილისელებმა, რომელთაც არ დაუთმეს მოწინააღმდეგეს არც ათლეტურ და არც ფსიქოლოგიურ მომზადებაში, აშკარად აჩვენეს თავიანთი ტექნიკური უპირატესობა, ტაქტიკური სიმწიფე და გამძლეობა. გოლის გაშვების შემდეგ მათ შეინარჩუნეს სიმშვიდე და ვლადიმერ გუცაევმა და ვიტალი დარასელიამ დიდი ოსტატობით გაიტანეს ორი საპასუხო ბურთი.

ვულოცავთ გუნდს და მის ხელმძღვანელობას ამ შესანიშნავ გამარჯვებას. ვუსურვებთ მათ ახალი სპორტული მწვერვალების დაპყრობას.

# კროსვორდი

თარაზულად: 1. პოეტ ირაკლი აბაშიძის ლექსის გმირი; 8. საკოლმეურნეო შრომის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი; 9. ჯარების საბრძოლო მწყობრის ან მოძრაობაში მყოფი კოლონის ნაწილი; 10. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე; 11. გზათა სახალხო კომისარი 1917-18 წლებში; 12. ვულკანიდან ამოფრქვეული გამდნარი მასა; 16. ჩინეთის ქალაქი; 19. ჩასაბერი საკრავი; 20 კლავიშებიან საკრავთა საერთო სახელწოდება; 21. ტექნიკურად რთული საბალეტო ცეკვა; 22. სავაჭრო სახლი ძველად; 27. სამხედრო კავშირი ინგლისს, საფრანგეთსა და მეფის რუსეთს შორის; 29. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე; 30. წინასწარ გადახდილი თანხა; 33 ერთხმიანი სიმღერა; 34. ამიერკავკასიის რევოლუციური მოღვაწე, ერთ-ერთი ბაქოელი კომისარი; 35. ოთხსიმიანი ხემიანი საკრავი; 38. XIX საუკუნის ინგლისელი მწერალი; 39. ქართველი მომღერალი; 40. სახელთა ან დასახელებათა მაჩვენებელი რეესტრი.

შვეულად: 1. ქართული არალეგარული ბოლშევიკური გაზეთი; 2. ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის მონაწილე ქალი, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მდივანი; 3. სსრკ სახალხო არტისტი, საოპერო მომღერალი; 4. უმცროსი მეთაური საზღვაო ფლოტში; 5. ტექნიკური კულტურა; 6. ცეცხლის ანადენი; 7. კანადის პროვინცია; 10. წვრილი და მაღალი ცალკე ნაგებობა; 13. სომეხი ხალხის ლეგენდარული გმირი; 14. მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის გმირი; 15. რსდმპ-სა და გაზეთ „ისკრის“ ერთ-ერთი დამაარსებელი; 17. ინგლისის ძველი სახელწოდება; 18. ყოფილი სასტუმრო თბილისში, სადაც მუშაობდა ბოლშევიკურ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქცია; 23. პირველი მარქსისტულ-არალეგარული გაზეთი; 24. კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე; 25. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 26. ტროპიკული და სუბტროპიკული ბალახოვანი მცენარე; 28. საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი; 31. გაზეთ „იუმანიტეს“ დამაარსებელი; 32. ქათმის ორტოტა ძვალი; 36. რ. გვეტაძის მოთხრობა; 37. სამჭედლო იარაღი.



გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვალერიან თოფურიძის ქანდაკება „გამარჯვება“.

გადაეცა წარმოებას 4. 05. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 05. 81 წ., უე 00702. ქაღალდის ზომა $70\times108^1/_8$. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 55.000, შეკვ. 1318. ფასი 30 კაპ.
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ.პ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография Издательства ЦК КП Грузии,
Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





ეროვნული ბიბლიოთეკა





მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედ-ების X რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

თარხან არჩვაძის ფოტო.







ქობულეთი. სანაპიროზე.

თარხან არჩვაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა